ISSN 0132—5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

8
1982



# პიონერული ზაფხული — ჟამი შრომის და დასვენებისა

თემურ ცაგარელი

ფოტო ავტორისა

## ერთი დღე ბანაკში

დადგა პიონერული ზაფხული, შრომისა და აქტიური დასვენების პერიოდი. ისევე, როგორც მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში, საქართველოს საკურორტო რაიონებშიც ახმაურდნენ პიონერული ბანაკები. ისმის საყვირისა და დაფდაფების ხმა, წკრიალებს პიონერული სიმღერები, ეწყობა ლაშქრობები, ბანაკი ბანაკს ეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში, იმართება შიგასაბანაკო სპარტაკიადები. პიონერები ჯანმრთელობას იკაჟებენ, რათა მომავალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი ენერგიით შეუდგნენ მეცადინეობას და გაახარონ მშობლებიც და სამშობლოც.

ცხვარიჭამიის თვალწარმტაც სანახებში რამდენიმე პიონერული ბანაკია. მათ შორისაა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკი „მედიკოსი“. აქაც ჩქეფს პიონერული შემართებით აღსავსე საბანაკო ცხოვრება, ყოველ დილით საყვირის ხმაზე იღვიძებს ბანაკი და მისი შემოგარენი წითელყელსახვევიანთა ჟრიამულით ივსება. დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ პიონერები ხაზზე დგებიან. რაზმის უფროსები პატაკს აბარებენ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომა-

მხატვარი თ. სამსონაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



როეს ის კი — უფროს პიონერხელმძღვანელს. ბოლოს წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები დღის გეგმას ეცნობიან და გემრიელი საუზმის შემდეგ ყველა რაზმი თავის საქმეს შეუდგება: ნორჩი მხარეთმცოდნეები მორიგ რეიდში გადიან, ნატურალისტები იქვე, ბანაკის ტერიტორიაზე ფუსფუსებენ პედაგოგ სონია აფციაურის ხელმძღვანელობით, პიონერთა ოთახში იკრიბებიან მსოფლიო პიონერიის ისტორიის შემსწავლელი ნორჩები და უფროსი პიონერხელმძღვანელი ნანა კიროეულიშვილი საინტერესოდ ესაუბრება მათ საზღვარგარეთელ თანატოლთა პიონერული ორგანიზაციების შესახებ. დღის მიწურულს კი, როცა სამხარს მორჩებიან, ტარდება რაზმეულის საერთო ღონისძიება. იმ დღეს გეგმაში იყო სპორტი — ფეხბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი. ვინ გაიმარჯვა? ამას არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი ის არის, რომ ყველა კმაყოფილი და მხიარული დარჩა ხალისიანი საღამოს გატარებით.

პიონერული ზაფხულიც სწრაფად გაივლის. გაჯანსაღებული და ენერგიით სავსე გოგო-ბიჭები მალე თავიანთ სკოლებს დაუბრუნდებიან და ხალისით შეუდგებიან მეცადინეობას. პიონერულ ბანაკში გატარებული დღეები კი დიდხანს დარჩება მათ მეხსიერებაში.

# „პირველი მერცხალი"

როცა 1981-1982 სასწავლო წელი მიიწურა, თბილისის მე-9 რუსული და მე-7 ქართული საშუალო სკოლების მოსწავლეებმა დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვრის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას მიაშურეს, აქვე ჩამოაყალიბეს შრომითი ბრიგადები და უფროსებს მხარში ამოუდგნენ.

წლევანდელი გაზაფხულის გაუთავებელმა წვიმებმა ხელი შეუწყო სარეველა ბალახების სწრაფად მომრავლებას, ვაზის რიგები მუხლამდე შალაფამ წალეკა. ვაზს სუნთქვა გაუჭირდა. და აი, შრომისმოყვარე გოგო-ბიჭებმა იერიში მიიტანეს ჩვენი ვენახების ამ დაუძინებელ მტერზე, თოხებით შეიარაღებულნი მწკრივებში ჩადგნენ და მუსრი გაავლეს სარეველებს. მართალია, პირველად გაუჭირდათ, ბევრ მათგანს ხომ ეს იარაღი ადრე არც კი სჭერია ხელში და თოხნა საიდან ეცოდინებოდათ! ზოგი ისე მაღლიდან იქნევდა თოხს, გეგონებოდათ, ცულით შეშას ჩეხავსო. თავდაპირველად სწრაფად იღლებოდხენ.

ხაზზე საზეიმო სიჩუმე ჩამოვარდა — მოაქვთ რაზმეულის დროშა.



ჩაფიქრებულან... ვინ იცის, იქნებ მოკლე ხანში გაიბრწყინოს რომელიმე მათგანის დიდოსტატურმა ტალანტმა.



მაგიდის ჩოგბურთს — ამ საოცრად ლაღ თამაშს — არასოდეს აკლია მაყურებელი.

გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

8 აგვისტო 1982

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



წამიც და — გამარჯვების მომასწავებელი ქულა მოპოვებული იქნება!

ზედმეტად ეხარჯებოდათ ენერგია, — ღიმილით გვიამბეს მეურნეობის მუშაკებმა, — მაგრამ მალე სიძნელეები უკან დარჩა და მოსწავლეები უკვე ტოლს არ უდებენ უფროსებს.

ცნობილია, რომ თუ ნივრის ყლორტებს სათესლე ყვავილებს წააჭრი, ძირები გამსხვილდება, ყოველი თავი მოზრდილ კბილებს დაიზრდის და საკვებად გემრიელი გახდება. ხოლო თუ პირიქით მოიქცევი, ე. ი. სათესლე ყლორტებს განგებ შეუნარჩუნებ, მაშინ ძირები დაკნინდება, დაიჩუტება, მაგრამ, სამაგიეროდ, სათესლე ყვავილები გაიხარებენ და მომავალი წლისათვის ნივრის თესლით მომარაგდებიან მებოსტნეები.

ეს უბრალო ჭეშმარიტება შრომისმოყვარე გოგო-ბიჭებმაც შეითვისეს. ვინაიდან მეურნეობას ნიორი სათესლედ არ სჭირდებოდა, ნორჩები გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს და ნივრის ნათესების ოცი ჰექტარი სრულფასოვნად დაამუშავეს.

ამ საქმეს რომ მორჩნენ, ისევ თოხებით შეიარაღდნენ და ახლა ლობიოს ნათესებს შეესივნენ, გულდაგულ გათოხნეს, სარეველა ბალახებისაგან გაასუფთავეს და ლობიომაც ლაღად ამოისუნთქა.

და ასე, ყოველდღე, თითქმის ერთი თვის მანძილზე, დაუზარელი ყმაწვილები დილის ათი საათიდან თორმეტ საათამდე მხარში უდგანან მეურნეობის მუშაკებს და მაშველი რაზმივით ხან სად შეუტევენ და ხან — სად. ერთი სიტყვით, სადაც უფრო უჭირთ, იქ გზავნიან მათ. არც მეურნეობის მუშაკები რჩებიან ვალში თავიანთ პატარა მეგობრებს, დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ მათ გემრიელი საუზმე ელით; დეიდა ეფემია, შრომისა და დასვენების ბანაკის შეფ-მზარეული, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პიონერ-მოსწავლეები ყოველთვის დანაყრებული ჰყავდეს. საუზმის შემდეგ კი თოხებითა და ფოცხებით შეიარაღებული გოგო-ბიჭები მანქანით მეურნეობის ბაღ-ვენახებში მიდიან სამუშაოდ.

მეურნეობასა და თბილისის მე-7 საშუალო სკოლას შორის დადებული გეგმა-ხელშეკრულება 2700 მანეთის ღირებულების სამუშაოს შესრულებას ითვალისწინებს. თბილისელი გოგო-ბიჭები დაუზარებლად მუშაობენ, რათა პირნათელნი დარჩნენ სკოლისა და მეურნეობის წინაშე.

თითქმის ამდენივე მანეთის სამუშაოს შესრულებას კისრულობენ თბილისის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლეებიც და უნდა ვიფიქროთ, რომ არც ისინი შეირცხვენენ თავს, ასახელებენ მშობლიურ სკოლას და მეურნეობის მუშაკთა მადლობასაც დაიმსახურებენ.

ბაღ-ვენახიდან დაბრუნებულ გოგო-ბიჭებს ისევ დეიდა ეფემია მიეგებება ხოლმე და გემრიელი ცხელი კერძით უმასპინძლდება, — შემდეგ კი ხანით ჩამოივლის მაგიდებს შორის და ხილს ჩამოურიგებს, — აბა, ახლა ვიტამინებიც იგემეთო, — ღიმილით ეუბნება ბავშვებს.

წყნარი საათის შემდეგ მოსწავლეებს თავისუფალი დრო აქვთ და მას ყველა ისე იყენებს, როგორც მოესურვება. რიგი მეთოდურ კუთხეს მიაშურებს და გეოგრაფიის მასწავლებლის, ნიკოლოზ შარაშენიძის დახმარებით ეცნობა მჭადიჯვრის ისტორიას, მის შემოგარენს. თბილისელებმა შეიტყვეს, რომ სკოლის ძველი კორპუსი თურმე მუხრანბატონის ყოფილი სასახლეა, რომ ამ სოფლიდან ბევრი ვაჟკაცი წავიდა სამამულო ომში და გმირული სიკვდილით დაეცა.

სკოლის ორგანიზატორი ნათელა გოგიშვილი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ შრომის შემდეგ ბავშვებმა აქტიურად და საინტერესოდ დაისვენონ. ბანაკში ხშირად ეწყობა სპორტული ღონისძიებები, ფრენბურთისა და კალათბურთს ხომ ყოველდღე თამაშობენ. თბილისელ მოსწავლეებს დიდხანს ემახსოვრებათ მეურნეობის მიერ მოწყობილი ექსკურსია ბაზალეთის ტბაზე.

დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვარში გახსნილი შრომისა და დასვენების ბანაკი „პირველი მერცხალი“ მებოსტნეობა-მევენახეობის მეურნეობის მუშაკთათვის მართლაც პირველი მერცხალია და ჩვენ გვჯერა, რომ ეს მერცხალი ყოველ ზაფხულს შეფრინდება ხოლმე მჭადიჯვარში და მხარში ამოუდგება უფროსებს, საკუთარ წვლილს შეიტანს რესპუბლიკაში სასურსათო პროგრამის წარმატებით გადაჭრის საქმეში.

აქ საუზმეც გემრიელია, სადილ-ვახშამიც. ნორჩები ხშირად თხოულობენ დამატებით ულუფას.



# [illegible]

**ვახტანგ გოგოლაშვილი**

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

## თავი პირველი

1942 წლის გაზაფხული იდგა.

კარგა შეღამებულზე ჩამოდგა ტყიბულის მატარებელი საფიჩხიის ბაქანზე. ალიოშა ციხელაშვილმა ზურგჩანთა* მხარზე მოიგდო, გაყინული ხელები მოისრისა და მოფიფქულ ბაქანზე ჩახტა. ადრიანი მარტი იყო და ჯერ კიდევ იგრძნობოდა ზამთრის სუსხი. ალიოშას გარდა სულ ორიოდე კაცი ჩამოვიდა პატარა ბაქანზე და ისინიც ისე უცებ გაქრნენ, თითქოს სიბნელეს შეუერთდნენო. ბიჭმა გარშემო მიმოიხედა და ფრთხილად გაუყვა ურიცკის ქუჩას. აქვე, ქუჩის ბოლოს ხარაზიშვილების ბაღთან შუშანა მამიდას სახლი იდგა და იქით გაეშურა.

წელიწადია ქუთაისში არ ყოფილა, თუმცა მისი სოფელი კურსები სულ რაღაც ათიოდე კილომეტრითაა დაცილებული აქედან. კინ გამოუშვებდა თოთხმეტი წლის ბიჭს თავის ნებაზე. შარშან კი... შარშანდელი ზაფხული გაახსენდა ალიოშას და გულიანად გაეღიმა.

შარშან ალიოშა მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო. რა გასამხელია და სწავლით მაინცდამაინც თავს არ იკლავდა. „სამიანი და ჯანმრთელობაო" — იცოდა ხოლმე თქმა. სამიანებს იოლად ღებულობდა. თუმცა ოლღა მასწავლებელმა კი გაუმწარა ორი ზაფხული. ალგებრაში ორიანი მიარტყა და უფროსი ძმა კაკო წყალწითელაზეც აღარ უშვებდა საბანაოდ. სახრით ადგა თავზე, ალგებრის წიგნს ხელიდან არ აგდებინებდა. ჯანმრთელობა კი... ჯანმრთელობა ნამდვილად არ აკლდა ალიოშას. 14 წლის ბიჭი შესახედავად 17-18 წლისას ჰგავდა. სიმინდით სავსე საცალოს იოლად მოიგდებდა მხარზე და სიმღერით ჩაარბენინებდა წისქვილში. წისქვილი მისი სახლიდან კაი ორი კილომეტრით იყო დაშორებული. გზაც ისეთი იყო, ცხენი კისერს მოიტეხდა. კოჭლი გერასიმე, სოფლის მეწისქვილე, ასწონიდა სიმინდს და ამოიოხრებდა:



ეროვნული ბიბლიოთეკა



— გკლავენ, ბიჭო? კაცი ხარ თუ საქონელი? ოთხ ფუთს სამი კილო აკლია.

სიტყვა გაგვიგრძელდა და, გასული ზაფხულის ამბავი რომ წამოვიწყეთ, ლამის გადაგვავიწყდა.

შარშან ქუთაისში მოსწავლეთა ზონალური პირველობა ჩატარდა ჭიდაობაში. კურსების სკოლიდან მარტო ალიოშა წამოიყვანა კუკური მასწავლებელმა. ჭიდაობის ხერხებიც თვითონ კუკურიმ ასწავლა. თუმცა რა სწავლა უნდოდა! ყოველ საღამოს ცაცხვებში ჭიდაობდა და მისი წამქცევი ტოლი კი არა, უფროსიც არ ჩანდა.

ფინალამდე არ გასჭირვებია. ფინალში კი მაგარი ბიჭი შეხვდა — ქუთაისის მე-2 სკოლის მეათეკლასელი ლეო იაკოვლევი. გვარად იყო იაკოვლევი, თორემ რუსული, ალიოშასი არ იყოს, არც იმან იცოდა ორი ღერი. ერთი სიტყვით, ძალიან, ძალიან გაუჭირდა ალიოშას, მაგრამ ბოლოს მაინც ცაცხვებში ნასწავლმა მ აგვერდმა უშველა. იცოცხლე, წამოიკიდა და ალესინა ბეჭებით ხალიჩა.

ჩაფიქრებული მიაბიჯებდა ალიოშა ჩაბნელებულ ქუჩაში. ცოტაც და მამიდას სახლიც გამოჩნდება. ერთი შესახვევი... მერე ამ ჩიხსაც ჩასცდება და...

სწორედ ჩიხთან შეაჩერა ხმამაღალმა ლაპარაკმა. სიბნელეში ვერ გაარჩია, ვინ იყვნენ და რამდენი.

ჯერ ბიჭის ხმა მოესმა. ეტყობოდა, პატარა იყო და თანაც ძალიან შეშინებული. ჩანდა, ყელში მომდგარ ცრემლებს ძლივს იკავებდა.

— უჩაია, არ გრცხვენია, ბიჭო? ჰოსპიტლიდან მოვდივართ, დაჭრილებისათვის კონცერტი გავმართეთ. თეონას სადა აქვს ქურქი, დედამისისაა. არ გაცივდეს ბავშვიო, ძალით ჩააცვა.

ხრინწიანი ხმა დამცინავად გაეპასუხა:

— რა გააცივებს, ორ ნაბიჯზეა მაგის სახლი.

ახლა გოგოს ხმამაღალი სლუკუნი მოესმა ალიოშას, თვალებს ძალა დაატანა და დაინახა — ჩიხში სამნი იდგნენ. პატარა, მობუზული, გამხდარი გოგონა, სახეზე ხელაფარებული სლუკუნებდა. კაბისამარა იყო. აწოწილ, მაზარიან ბიჭს ხელზე ჰქონდა გადაკიდებული ქურქი, რომელიც, ეტყობა, მისთვის გაეხადა. მეორე, ტანმორჩილ ვაჟს გაუბედავად ჩაევლო ქურქისთვის ხელი და თავისკენ ექაჩებოდა.

— გაუშვი ხელი, — ბრაზიანად ჩაიბუზღუნა აწოწილმა. — მამაჩემიც ომშია, მაგრამ ამისათვის ზედმეტ პურის წიგნაკს არავინ მაძლევს მე.

გოგონა ხმამაღლა აქვითინდა.

ალიოშამ ზურგჩანთა მოიძრო, ხელები მოისრისა და ჩიხში შეაბიჯა.

— აბა, დაუბრუნე ახლავე ქურქი.

აწოწილმა გაკვირვებით გამოხედა, შეფიქრიანებით შეათვალიერა ტანმოსული ახალგაზრდა, მაგრამ შეკრთომა არ დასტყობია.

— ეს ვინღა გამოჩნდა?.. მე, ხომ იცი, უჩაია-ბულდოგს მეძახიან. მოუსვით ახლა აქედან.

აწოწილმა ბიჭს ქურქზე ხელი გააშვებინა და წასასვლელად შეტრიალდა. ალიოშა წინ გადაუდგა. გოგომ ტირილი შეწყვიტა და თვალებგაფართოებული შესცქეროდა უცნობ ყმაწვილს.

— შენ თუ უჩაია-ბულდოგი ხარ, მე ალიოშა მქვია და მიეცი ახლა ქურქი შენი ნებით, სანამ ტყავიც არ გამიხდია შენთვის.

აწოწილმა ქურქი მიწაზე მიაგდო, ხელი ჯიბეში ჩაიყო და წელში მოხრილი ნელა გამოემართა ალიოშასაკენ. სიბნელეში არ ჩანდა და თეონამ, მგონი, უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა, როგორ ამოიღო უჩაიამ ჯიბიდან ბებუთი.

— გაიქეცი, დანა აქვს, დანა, — იკივლა.

არ შეშინდა-თქო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ალიოშას გაქცევა არც უფიქრია. გაახსენდა კუკური მასწავლებლის ნასწავლები ფანდი, აქამდე რომ ჭიდაობისას არასოდეს გამოუყენებია. კუკურიმ ხომ გააფრთხილა, საშიშია, ამ ფანდით მეტოქეს ხელი არ მოსტეხოო. ახლა მეტოქის დაზოგვის დრო სად იყო. ნაბიჯი უცებ წადგა წინ, მარცხენა ხელი მაღლა შემართული მარჯვენის მაჯაში ჩაავლო, მარჯვენათი მეორე მკლავი დაუჭირა. ზურგისკენ მთელი ბრუნი გააკეთა, ოდნავ წაიხარა და ეს ამოდენა ოყლაყი სიმინდით სავსე საცალოსავით წამოიკიდა მხარზე. კიდევ უფრო დაიხარა და მთელი ძალით დაიქნია. უჩაიაბულდოგის ფეხებმა ჰაერში წრე მოხაზა. ჭიდაობა რომ ყოფილიყო, ალიოშა ხელს უშვებდა და ყველაფერი ამით დამთავრდებოდა, მაგრამ კარგად ახსოვდა, — ბულდოგას ხელში დანა ეჭირა, გვერდით კი შეშინებული და აცრემლებული ბავშვები ედგნენ. ამიტომაც რკინის მარწუხივით ჩაჭერილი მარცხენა მეტოქის მაჯისთვის არ მოუცილებია. სანამ სხეული ქვაფენილზე ჯაიშხლართებოდა, უჩაიას მარჯვენა ალიოშას ზურგზე ამოტრიალდა და წუთით ჩამოვარდნილი მყუდროება ჯერ გატეხილი ძვლის ტკაცუნმა გაჰკვეთა, ხოლო შემდეგ ამაზრზენმა ღრიალმა შესძრა.

ალიოშამ გონდაკარგული უჩაია ერთი აკვრით წამოაყენა ფეხზე, სახეში ორ-სამჯერ გაულაწუნა და გონზე მოიყვანა.

— აგერ რკინიგზის საავადმყოფოს ხომ ხედავ?.. მიდი იქ, იქნებ რაიმე უშველონ შენს ხელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თუ კაცი ხარ, ომში მიღებულ ჭრილობად არ გაასაღო, — ხუმრობის გუნებაზე დადგა თეონას თანმხლები ბიჭი.

უჩაია პატარა ბიჭივით ბღაოდა. მარცხენათი მოტეხილი მარჯვენა ეჭირა, სახეზე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და მართლა საავადმყოფოსკენ გარბოდა. საავადმყოფოს კარებთან მოიხედა, შეიგინა და შევიდა.

ალიოშამ ქურქი აიღო, თეონას ჩაცმაში მიეშველა, მერე ზურგჩანთა მოძებნა, მოიკიდა და დინჯად თქვა:

— მე ალიოშა ვარ, ციხელაშვილი. კურსებელი. შენ თეონა გქვია. გვარი კი არ ვიცი.

— ნებიერიძე ვარ. ეს ზურიკოა, ტყეშელაშვილი.

სამთავემ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. წამით დუმილი ჩამოვარდა. თითქოს სალაპარაკოც გამოელიათ. ასე დაცილებაც არ უნდოდათ, სასაუბრო დრო და ადგილი კი არ იყო, მაგრამ ალიოშამ მაინც დაუმატა:

— სოფლიდან ჩამოვედი. ახლა ჩამოვყევი მატარებელს. ომში მინდოდა წასვლა, მაგრამ კომისარმა პატარა ხარო, შენი საქმე სწავლააო. ახლა სკოლაში სასიარულოდ სადა მცალია. მინდა საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში მაინც მოვეწყო. რაიმე ხელობას ვისწავლი და ფრონტსაც უფრო გამოვადგები.

გახარებულმა ზურიკომ პატარა ბავშვივით შემოკრატაში:

— ჩვენც საფაბრიკო-საქარხნოში ვსწავლობთ, მეოთხეში... რუსთაველის ქუჩაზე. ჩვენთან წამოდი.

— ჰო, კარგი იქნება, — დაეთანხმა ალიოშა.

— ერთად მაინც მოვხვედრილიყავით. რომელ კლასში ხარ?

— მერვეში.

— მერვეში?! — გაკვირვება გაისმა თეონას ხმაში.

— ჰო, თოთხმეტი წლისა ვარ, — ჩაილაპარაკა ალიოშამ და ჩია ბავშვების გვერდით მდგომმა უხერხულად აიჩეჩა მხრები.

— აბა, მართლა ერთად ვისწავლით.

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდნენ ურიცკის ბნელ ჩიხში. გვიან დასცილდნენ ერთმანეთს და მეორე დილისათვის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის კარებთან დათქვეს შეხვედრა.

## თავი მეორე

რუსთაველის ქუჩის ბოლოს „დინამოს“ სტადიონის გვერდით იდგა მეოთხე საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის სამსართულიანი შენობა.

სწორედ ამ სასწავლებლის წინ, რკინის მაღალ ალაყაფთან იდგა ალიოშა და ახალგაცნობილ მეგობრებს ელოდებოდა. პირველი სართულის ფანჯარაში მოწაფეთა საძინებელი ოთახები ჩანდა. ბავშვები უკვე ამდგარიყვნენ, ჩაეცვათ და ქუჩას გადაჰყურებდნენ. ბევრ მათგანს შეემჩნია ჭიშკართან მდგომი ტანმაღალი ყმაწვილი. ალიოშა უხერხულად გრძნობდა თავს. შეციებული ფეხები რამდენიმეჯერ დააბაკუნა ფილაქანზე, ხელები მოისრისა და ჭიშკარში შესვლას აპირებდა, როცა სირბილით მომავალი თეონა და ზურიკო გამოჩნდნენ.



— დავაგვიანეთ, ხომ? — მოიბოდიშა ზურიკომ.

— არა უშავს, მეც ახლახან მოვედი.

ბავშვები ალაყაფში შევიდნენ და დირექტორის კაბინეტისაკენ მიმავალ კიბეს აყვნენ. სასწავლებლის დირექტორი სარდიონ კაპანაძე ღიმილით შეეგება თეონას, ყურადღებით მოუსმინა, კარი გამოაღო და კარეთ ატუზული ალიოშა შეიპატიჟა. ალიოშას ზურიკოც შეჰყვა. სარდიონმა ჯერ ოჯახისა და სწავლის ამბები გამოჰკითხა ბიჭს, მერე კურსების სკოლიდან გამოტანებული საბუთები გამოართვა, გულდასმით გადაათვალიერა.

— ბიჭოს, მოჭიდავე ყოფილხარ. ძალიან კარგია. ოღონდ ესაა, ნიშნები მაინცდამაინც ბრწყინვალე არა გაქვს.

— არა უშავს, პატ. მასწ.,— ჩაერია საუბარში თეონა. — ჩვენს კლასში ჩარიცხეთ და, თუ რამე გაუჭირდება, დავეხმარებით.

— ჰო, რაკი შენ თავდებობ, იმედია, ყველაფერი რიგ-

ზე იქნება, — ულვაშებში ჩაიღიმა სარდიონმა. განცხადებაზე რეზოლუცია წააწერა. მერე ფურცელი აიღო, კარგახანს რაღაცას წერდა. ბოლოს მორჩა და ბავშვებისკენ შემობრუნდა.

— ეგრე იყოს. მერვე პირველ კლასში ისწავლი. ამ წერილს სამნეო ნაწილის გამგეს სერგი ჭეიშვილს გადასცემ. ტანსაცმელს და მაზარას მიიღებ. ოღონდ ესაა, საერთო საცხოვრებელი გვიჭირს ცოტა... არა უშავს რა, საღამომდე რაიმეს მოვიფიქრებთ.

ალიოშამ, როგორც იქნა, გაბედა ხმის ამოღება:



— თუ შეიძლება, მამიდასთან ვიცხოვრებ [illegible]-კის ქუჩაზე. იქიდან ვივლი. არ დავაგვიან[illegible]

— ჰო, მით უკეთესი, მით უკეთესი, — კმაყოფილმა მოიფშვნიტა ხელები სარდიონმა — აბა, ვაიქეცით ახლა, საცაა გაკვეთილი დაიწყება.

კმაყოფილი ბავშვები ხმაურით გამოცვივდნენ კაბინეტიდან.

მეორე სართულზე, დერეფნის ბოლოს იყო მოთავსებული მერვე პირველი კლასი. სამთავენი შევიდნენ და მთელი ცერემონიით ჩაატარეს ახალი მოწაფის გაცნობა. ყველას მოეწონა ბრგე, სასიამოვნო შესახედაობის, თავაზიანი და მორცხვი ყმაწვილი. ერთი კი იყო, ქართლელი ლამარამ მაინც ვერ მოითმინა, რომ არ გაეკენწლა:

— თეონა, სად იშოვნე ამოდენა ამწე კრანი?

— სადგურის უკან იდგა. შემეშინდა, წვიმაში ჟანგი არ მოეკიდებოდა და სიმშრალეში გადმოვიტანე.

ამ უბრალო ხუმრობამ ისეთი ხმამაღალი სიცილი გამოიწვია, რომ ერთბაშად გაიფანტა გაცნობის დაძაბულობა.

ამასობაში ზარიც დაირეკა.

ეს იყო და ეს. იმ დღეს გაკვეთილზე საინტერესო არაფერი მომხდარა. შემოდიოდნენ მასწავლებლები, შეამჩნევდნენ ყველასაგან განსხვავებულ ტანმოსულ ახალგაზრდას, გვარსა და სახელს ჰკითხავდნენ, მერე წლოვანებას და მხოლოდ ამის შემდეგ ეკითხებოდნენ — საიდან მოვიდა, ვინ ასწავლიდა, რა ნიშნები ჰქონდა. შეკითხვების ამ თანამიმდევრობას ისე მიეჩვივნენ, რომ როდესაც მეხუთე გაკვეთილზე ოსტატმა ზეინკალმა ლადო მითურმა ახალბედას გვარი და სახელი ჰკითხა, თითქმის მთელმა კლასმა ერთხმად უპასუხა:

— ალიოშა ცხელაშვილი, პატ. მასწ., თოთხმეტი წლისაა.

ალიოშამ მოკრძალებით გაიღიმა და განაგრძო:

— დიახ, კურსების საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, ნიშნები ჩვეულებრივი მქონდა — სამები და ოთხები. სიმღერაში, ფიზკულტურასა და ყოფაქცევაში ხუთები მქვს. ზეინკლობას ჩვენს სკოლაში არ ვსწავლობდით. სამაგიეროდ ტრაქტორის მართვა ვიცი, — მოულოდნელად დაამთავრა და საერთო სიცილი გამოიწვია.

ლადომ გაიღიმა, აჩეჩილ ქოჩორზე ხელის გადასმა მოუნდომა, მაგრამ მიხვდა, რომ ტანმორჩილი კაცი შეიძლება ვერც მიწვდომოდა ტანმაღალ მოწაფეს, მხრებზე წაუთათუნა და გულთბილად უთხრა:

— ტრაქტორისტობა კარგი საქმეა. უთქვამთ, რამდენი ხელობაც იცი, იმდენი კაცი ხარო. რაც შეეხება ზეინკლობას, ნუ გეშინია, ისწავლი, ყოჩაღი ბიჭი ჩანხარ. ოღონდ უნდა მოინდომო.

გაკვეთილის დამთავრებას ბევრი აღარ უკლდა, როცა ოსტატმა ცარცი დაფის კიდეზე ჩამოდო, ხელები მშრალი ჩვრით შეიწმინდა, მაგიდას მიუჯდა, ჟურნალში ახალახსნილი გაკვეთილი ჩაწერა და ხმადაბლა დაიწყო.

— გუშინ საორთქლმავლო დეპოში ჩვენს შეფებს მოველაპარაკე. კარგად მოგეხსენებათ, ზეინკლობას მხოლოდ დახაზებითა და წიგნებით ვერ ისწავლით. სარემონტო სა·

ამქროში ოთახი გამოგვიყვეს. ოთხი საზეინკლო დაზგა დგას. მთელი დეპო ფრონტის სასწრაფო დაკვეთაზეა გადასული. ვერ აუდიან სამუშაოს. ახალგაზრდა ოსტატები ომში არიან წასულები. საქმეს მხოლოდ მოხუცები და ქალებიღა შერჩნენ. ის ოთხი დაზგა მოქველებული კია, მაგრამ მოცდენა მაინც არ შეიძლება. ჰოდა, თქვენთვისაც კარგი იქნება, ნამდვილ ზეინკლობას ისწავლით. ფრონტსაც გამოვადგებით. მათ დაკვეთაზე ვიმუშავებთ. საამქროს უფროსმა ცოტა თავპატიჟი გაიდო, ხელის შეშლის მეტს არაფერს გამიკეთებენ შენი ჭინკებიო, მაგრამ ბოლოს მაინც დამეთანხმა. ხვალიდან უკვე შრომას შევუდგებით.

— ვაშა! — ერთბაშად ახმაურდა კლასი.

— მაშასადამე, სწავლა აღარ გვექნება, ხომ? — იკითხა ჯემალმა.

— არა, არა, ყმაწვილებო. უსწავლელებს ვინ დაგტოვებთ ჩვენს ქვეყანაში. დეპოში გაკვეთილების შემდეგ წახვალთ — საწარმოო პრაქტიკას გაივლით. გეგმაც შესაბამისი გექნებათ მოცემული.

— აკი სულ ოთხი დაზგააო? ყველას როგორ გაგვწვდება?

— მაგაზე ბევრი ვიფიქრეთ. დირექტორსაც მოვუთათბირე. გადავწყვიტეთ, კლასი ორად გავყოთ. პრაქტიკაზე ორ ცვლად ივლით: ერთი ნახევარი დილის ცხრიდან პირველ საათამდე, ხოლო მეორე — პირველი საათიდან ხუთამდე. სწავლაც ასევე სხვადასხვა დროს გექნებათ. პირველი ნახევარი დილით ივლის სკოლაში, ხოლო მეორე ნახევარი — შუადღისას.

— თითო დაზგას რამდენი კაცი სჭირდება? — დაინტერესდა ალიოშა.

— ყოჩაღ, ბიჭო, — მოუწონა ლადომ შეკითხვა. — თითო დაზგაზე ოთხი მოწაფე მივამაგრეთ. ორი ლითონის ვაჩარხვაზე იმუშავებს, ორიც დამხმარე მუშა იქნება. უფრო სწორად, ერთმანეთს შეენაცვლებიან ხოლმე. ერთ დაზგას რვა მოწაფე მოემსახურება. ოთხი პირველ ცვლაში და ოთხი მეორეში.

— დამხმარე მუშებმა რა უნდა გააკეთონ? — დაინტერესდა ზურიკო.

— მაგას ადგილზე გაიგებთ. ნუ გეშინიათ, უსაქმოდ არც ერთი არ დარჩებით. ბოყვები იქნება შემოსატანი, რკინის ნათალები — გასატანი, ადგილი — დასასუფთავებელი, მზა დეტალები — კონტროლიორთან წასაღები და ჩასაბარებელი.

— ეგ იოლი სამუშაო გოგონებმა შეასრულონ. ბიჭები დაზგებთან ვიდგებით და დეტალებს გავჩარხავთ.

— წყნარად, წყნარად, — ხელის აწევით დაამშვიდა ლადომ ახმაურებული კლასი. — ადგილზე მივალთ და ყველაფერს იქ გავარკვევთ. იოლი სამუშაო არც ერთი არაა. ყველას მოგიწევთ დამხმარე საქმიანობაც და დაზგასთან დგომაც. ახლა უკეთესი იქნება ოთხეულები შევქმნათ, ან, როგორც საამქროს უფროსმა თქვა, „ჭინკების ბრიგადები“ ჩამოვაყალიბოთ.

— თვითონ საამქროს უფროსი, ალბათ, მამა ეშმაკი იქნება, არა? — ისევ გაიკრიჭა ჯემალი.

— არა, ყმაწვილებო, — სერიოზულად შეეპასუხა ლადო მასწავლებელი, — თქვენს ოსტატად, ანუ „მამა ეშმაკად“, მე გახლავართ დანიშნული. საამქროს უფროსი პეტრე შხიანი თქვენთვის ვერ მოიცლის, მაგრამ ყველაფერზე მის წინაშე ვართ პასუხისმგებლები.

მერე ბრიგადებად განაწილებას მიჰყვეს ხელი. პირველ დაზგას პირველ ცვლაში თეონა ნებიერიძე, ლამარა ლომიძე, ზურიკო ტყეშელაშვილი და ალიოშა ციხელაშვილი მიამაგრეს, მეორე ცვლაში ჯემალ უკლება, კოტიკო ქორიძე, მიშა ტყუპისცალი დათიკო ქორიძე და ნელი ნაშნიანიძე. ასევე გაანაწილეს სხვა დაზგებზეც მოწაფეები.

მოგვიანებით თეონა, ალიოშა, ზურიკო და ლამარა მხიარულად გაუყვნენ რუსთაველის ქუჩას.

ხვალიდან ისინი ახალ, შრომით ცხოვრებას იწყებდნენ.

## თავი მესამე

მაღალი, ფართო საამქროს შესასვლელში იდგა ოთხი მომცრო, ძველისძველი, ოციან წლებში დამზადებული დაზგა. ლილვაკები ნელა ბრუნავდა და ვეებერთელა საამქროს გუგუნში მათი ხმა არც ისმოდა. კარგი, გამოცდილი ოსტატიც კი ცვლაში ოთხ დეტალს ძლივს ამზადებდა მასზე. პირველ დღეებში ფრონტის დაკვეთას ვინ მიაკარა ახალბედები! დაზგაზე ლითონის დამაგრება ასწავლეს და თლას მიაჩვიეს. ეს იყო და ეს. მთელი კვირა ამ ვაი-ვაგლახში გავიდა. ალიოშა თეონას ხათრით იკავებდა თავს, თორემ ყველაფერი ეს თამაშობად მიაჩნდა. ისევ გაუჩნდა ფრონტზე გაქცევის სურვილი. ლითონის დამუშავების შესწავლაც ძალიან გაუჭირდა. უკვე ორიოდე კვირის შემდეგ თეონამ და ლამარამ თავიანთ ცვლაში ფრონტის დაკვეთის დეტალიც გამოჩარხეს. ლადო მასწავლებლისთვის არც გაუმხელიათ, გულდასმით, გულმოდგინედ იმუშავეს და დღის ბოლოს კონტროლიორს მიურბენინეს. ათასნაირად გაზომა კონტროლიორმა, ხელშიატრიალა, გაკვირვებით აიჩეჩა მხრები და პეტრე შხიანს აჩვენა. პეტრეს ჯერ გაზომვაც არ უნდოდა, მაგათი დამზადებული დეტალისა რა მცოდნიაო. ძლივს დაითანხმა კონტროლიორმა. გასინჯეს და მოიწონეს. მეორე დღეს მთელი სასწავლებელი თეონასა და ლამარას ნაოსტატარზე ლაპარაკობდა. პეტრე შხიანმა გოგონები თავისთან დაიბარა, ესაუბრა, ნამუშევარი მოუწონა და დაკვეთების შესრულებაზე გადაიყვანა. გეგმაც განუსაზღვრა — ცვლაში ერთი დეტალი. ალიოშა და ზურიკო დამხმარე მუშებად დარჩნენ. მთელი დღე წელში მოხრილნი ეზიდებოდნენ ლითონს, ასუფთავებდნენ დაზგას, ამზადებდნენ მასალებს. მუშაობდნენ და ბუზღუნებდნენ. თუმცა საბუზღუნო რა ჰქონდათ. კვირის ბოლოს გოგონებმა რვა დეტალი ჩააბარეს, გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და, რაც მთავარია, არც ერთი წუნი არ ჰქონდათ.

მუშაობას დილის ცხრა საათზე იწყებდნენ. თხუთმეტი წუთით ადრე მოდიოდნენ ოთხივენი. ჯერ ჯემალ უკლებას ცვლის ნარჩენები გაჰქონდათ და ჯართზე ყრიდნენ. შემდეგ დერეფანს გვიდნენ, საამქროდან ლითონის ზო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დები შემოჰქონდათ, მთელი დღის სამყოფს იმარაგებდნენ. მხოლოდ შემდეგ შეუდგებოდნენ მუშაობას. პირველ თლას ლამარა ახდენდა. ხრახნის ჭრილებზე თეონა მუშაობდა. ფაქიზი, სათუთი ხელები ჰქონდა და ხრახნის ხვეულები ვარდის ფურცლებივით ნაზად ამოჰყავდა ხოლმე ლითონზე. ვინ იცის, იქნებ დღეში ორი ან მეტი დეტალის დამზადებაც მოესწროთ, მაგრამ საჭრისები უშლიდათ ხელს. დიდ საამქროებში ამომუშავეებს ცხვირგრძელი, მტკიცე ფოლადის საჭრისები ჰქონდათ დაზგაზე დამაგრებული. ცვლაში (მათი ცვლა ათი საათი გრძელდებოდა) მხოლოდ ერთხელ სჭიროდებოდა გამოცვლა. ამათ დაზგას კი დამჭერი კბილები დაბალზე ჰქონდა მოჭრილი. ძველებურ, რბილი ფოლადის საჭრისებს იყენებდნენ. საათში ერთხელ მაინც უნდა შეეცვალათ. გააჩერებდა თეონა დაზგას. მოუშვებდა ალიოშა დამჭერებს. ამოიღებდა დაბლაგვულ საჭრისს. მის ნაცვლად ახალს ჩაამაგრებდა. ძველს კი ასალესად გაარბენინებდა. ასე ხდებოდა ცვლაში ოთხჯერ. ნახევარ საათზე მეტი იკარგებოდა. ლადო მასწავლებელმა აიჩემა, გოგონები დაზგასთან მთელ დღეს ფეხზე დგომას ვერ გაუძლებენო. ნახევარ საათს მაინც ამუშავებდა ალიოშასა და ზურიკოს დაზგაზე. დეტალების დამზადებას მიეჩვიონო. ბიჭები გულმოდგინებას არ აკლებდნენ. პირველ თლას კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ ხრახნებზე რომ მიდგებოდა საქმე, არაფერი გამოუდიოდათ.

აშკარად ჩანდა. მართლა დიდხანს ვერ გაუძლებდა თეონა ასეთ მუშაობას. ლამარას კიდევ არა უშავდა, ჯანიანი გოგო იყო. სუსტი, ფერმიხდილი და ნაზი თეონა კი ცვლის შემდეგ დაქანცული ძლივს მიბანცალდებოდა ხოლმე სასწავლებლამდე.

საღამოს სკოლიდან დაღლილები მიდიოდნენ შინისკენ „ჭინკების ბრიგადის" წევრები. ლამარა თავჩაღუნული გაჰყვა ბალახვნისაკენ. ბიჭებმა თეონა სახლში მიაცილეს. ერთხანს მდუმარედ იდგნენ ჭიშკართან. შემდეგ ხარაზიშვილის ბაღში შევიდნენ და ძელსკამზე ჩამოსხდნენ.

— იცი რა გითხრა, ზურიკო? სინდისიც კარგი საქონელია. ლამისაა სული ამოძვრეს ამ ერთიბეწვა გოგოს. რაიმე უნდა მოვიფიქროთ.

— რა ვუყო, აჩქარებით ხრახნები არ გამოდის, — ჩაიბურდღუნა ზურიკომ.

— ხვალიდან რვა საათზე მოხვალ საამქროში.

— გადაირიე? რა უნდა ვაკეთოთ მთელი ერთი საათი?

— გოგოების მოსვლამდე ნათალებს გავიტანთ, ლითონს შემოვზიდავთ, დაზგას გავამზადებთ, ცოტა წავარჯიშებასაც მოვასწრებთ. უნდა ვეცადოთ, ფრთხილად და გულმოდგინედ ვიმუშაოთ, — თქვა ალიოშამ და ზურიკოს შეპასუხებას არ დაუცადა, სწრაფად დაასკვნა: — მორჩა, ხვალ რვა საათზე გელი.

მეორე დღეს თეონას და ლამარას დაზგა გამზადებული დახვდათ. ალიოშას საჭრისი მოემარჯვებინა და ფრთხილად თლიდა დეტალს. გოგონებს სიხარულის ღიმილი მოერიათ. ცვლაში პირველად ენაცვლებოდნენ დაზგასთან ერთმანეთს. საბოლოო დამუშავებაზე მაინც თეონა მუშაობდა, მაგრამ ნაკლებად დაიღალა. დამზადებითაც თორ დეტალი მთლიანად დაამზადეს.

ცვლა დამთავრდა და წასასვლელად გამზადებულნი იყო. კარებში გასვლას აპირებდნენ, რომ ლამარამ შეაჩერა მეგობრები.

— იცით რა, მოდი, დაზგა სამუშაოდ გავამზადოთ. დღეს ისე დაღლილები არა ვართ. ბურბუშელა გავიტანოთ, ლითონი შემოვზიდოთ, დავამაგროთ.

— შენ რა, ხომ არ გაგიჟდი, — აფეთქდა ზურიკო.— ჯემალის ბრიგადას თუ არ გადავყევი, თვითონ არ ეკადრებათ იმუშაონ?

— სწორს ამბობს ლამარა, — ჩაიდუდღუნა ალიოშამ,— თქვენ არ გინდათ, დაღლილები ხართ, ჯათოს მე გავზიდავ. მერე ჯემალს მოველაპარაკებით და თვითონაც ასე მზად დაგვახვედრებს დილით სამუშაო ადგილს.

გარდა ამისა, ჩემი და სხვისი ბრიგადა რასა ჰქვია! ყველანი საერთო საქმეს ვაკეთებთ, ფრონტის საქმეს.

— კარგი, ბატონო, ეგრე იყოს, — ხელი ჩაიქნია ზურიკომ, რაკი შეატყო, რომ მხრის დამჭერი არავინ ჰყავდა.

ყველაფერს უცებ მორჩნენ. ალიოშა ლამარას მიუბრუნდა:

— ლამარა, შენ დარჩი, საცაა ჯემალის ბრიგადა მოვა. უთხარი, ხვალ დილით ყველაფერი ასევე გამზადებული დაგვხვდეს, როგორც ჩვენ ვუტოვებთ.

— რომ არა ქნას?

— თუ არ იზამს, უთხარი, ხვალ მე დაველოდები ცვლის შემდეგ.

ლამარამ გაიღიმა და ალიოშას ფართო მხრები შეათვალიერა:

— ჰო, მასე თუ ვეტყვი, იზამს, აბა რას იზამს!

გარეთ ქუთაისის გვიანი აპრილი იდგა და ქალაქის ქუჩებში გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა. თეონას გულმა არ მოუთმინა:

— მოდი, ბაგრატის ტაძარზე ავიდეთ, გავისეირნოთ, დავისვენოთ, ქალაქს გადმოვხედოთ.

— ავიდეთ რა, ავიდეთ, — დაეთანხმა ზურიკო. — თეონასაც მოუხდება ჰაერზე გასეირნება. ფული მაქვს, საპარაშუტო კოშკიდან გადმოვხტეთ, თუ გინდათ. — ჯიბიდან სათუთად დაკეცილი ორი მანეთიანი ამოაძვრინა. — შენ და თეონა გადმოხტით, ალიოშა. მე მაინც არ მინდა.

— კარგი, წავიდეთ, ოღონდ დიდხანს ნუ დავრჩებით.

სულ ორიოდე საათი ისეირნეს გაბაშვილის გორაზე. კიდევ ერთხელ დაათვალიერეს ბაგრატის დიდებული ტაძარი. საპარაშუტო კოშკიდან კი არ გადმომხტარან. სურვილი არ ჰქონდათ და, ეტყობა, არც მუშაობდა, რადგან არავინ არ ხტებოდა. ბოლოს მხიარული ხტუნვით ჩამოყვნენ კიბეს. თეთრი ხიდი გადმოიარეს, პირველ სკოლას გვერდი აუარეს, კიროვის ქუჩაზე გავიდნენ და, სანამ საფიჩხიისაკენ აუხვევდნენ, სატელეფონო სადგურის გვერდზე ახალგახსნილ მაღაზიასთან მონუსხულებივით შეჩერდნენ.

თითქოს არც სადმე ომი ყოფილიყო, არც პურის წივნაკები, არც დილიდანვე გაჭიმული რიგები. ფართო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტრინების უკან დახლებზე ნაირ-ნაირი ტკბილეული ეწყო. არა, ალბათ, სხვა ბევრი რამეც ეწყო, მაგრამ ბავშვებს მეტი არაფერი შეუმჩნევიათ — ვეებერთელა ყურძნის მტევნებივით შაქარყინულები, ფერადი ყვავილებით მოქარგული ტორტები, შაქარმოყრილი თაფლის კვერები...

— შარშან, ჩემს დღეობაზე, აი, ასეთი ტორტი მომიტანა მამამ. ისეთი გემრიელი იყო, ისეთი!.. — თქვა თეონამ.

— დედაჩემი უკეთესებს აცხობდა, — ამოოხვრას ამოაყოლა ზურიკომ.

— ამაზე უკეთესი რაღა შეიძლება. ნახე, რა ლამაზია. ტკბილიც ძაან იქნება, — ნერწყვი გადაყლაპა ალიოშამ. მერე უეცრად შერცხვა და მიტრიალდა. — წავიდეთ, რა: დავყუდებულვართ, უხერხულია.

— მოიცა რა, ცოტა ხანს ვუცქიროთ, — წამოწითლდა თეონა.

— ძალიან მოგვნატრებიათ ტკბილეული, მეგობრებო... სამივემ ერთბაშად მოიხედა.

მათ უკან, ვიტრინასთან ტანმაღალი მეზღვაური იდგა. მზით გარუჯულ, აქერცლილ სახეზე ფოლადისფერი თვალები უელვარებდა. პატარა, შავი წვერი უხდებოდა. თაბაშირში ჩასმული მარჯვენა ხელი ყელზე თეთრი ბინტით ეკიდა. ისე ტკბილად, მომხიბლავად იღიმებოდა, რომ ბავშვებსაც ღიმილი მოერიათ.

— მოგვენატრა... აღარც ვიცოდით, თუ იყო სადმე ასეთი ნამცხვრები.

— აბა, შემომყევით.

ბავშვებმა დაირცხვინეს. ალიოშამ უკან დაიწია და შებრუნება დააპირა, მაგრამ მოერიდა. ასე მადლობის უთქმელად როგორ გაეიქცეო. ზურიკო ყურებამდე გაწითლდა და უარის ნიშნად თავი გაიქნია. მხოლოდ თეონამ შეხედა თვალებში მომღიმარე მეზღვაურს და შეეპასუხა:

— თქვენ იქნებ არ იცით, რომ ამ მაღაზიაში ყველაფერი ძვირი ღირს.

— ვიცი, ვიცი. შემომყევით და დამეწვიეთ თითო ნაჭერ ტორტზე.

— ჰო, მართლა, ვიცნობდეთ ერთმანეთს. მე მეზღვაური პავლე გოლიკოვი გახლავართ. აგერ ხუთ თვეზე მეტია ჰოსპიტალში ვწევარ. დღეს პირველად გამოვედი თქვენს ქალაქში და, სიმართლე გითხრათ, ძალიან მომეწონა.

ბავშვებმა გამოწვდილი მარცხენა ჩამოართვეს.

მაღაზიიდან გამოსულები დიდხანს სეირნობდნენ ქუჩაში. მეზღვაური თავის თავგადასავალს ყვებოდა. ბალტიის ფლოტში ყოფილა და ომის პირველი დღეებიდანვე იბრძოდა თურმე.

— ომამდე რას აკეთებდით? — იკითხა ზურიკომ.

— რა უნდა ეკეთებინა. მარიაკი იყო და ზღვაზე ცურავდა ალბათ, — ქართულად შეეპასუხა ალიოშა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე დიდებაშვილი

## პიონერული ლაშქრული

გულუხვად
გვაცხუნებს
ზაფხულის
კროლა მზე.
მდინარე
გავცურეთ,
მივკვალავთ
უვალ გზებს.
თვალწარმტაცს
განვიცდით
მშობლიურ
სანახებს.
თამამად,
ხალისით
დავლაშქრავთ
მთას და ხევს.

ზვიად კლდეს
ჰკიდია
ჩქაფუნა
ჩანჩქერი.
შხეფია,
ზვირთია, —
შვიდფერად
ნაფერი...
გვაგრილებს
ცვარ-ნამში
ნავლები
სიოს ფრთა.
... მოგვევლო
მთა-ბარი, —
სურვილი
ღვიოდა...

და აჰა...
მოვდივართ
სიმღერით,
ნავარდით.
რა ღრმა და
შორია
კამკამა
ლაჟვარდი.
ეს ნატვრა
ღვიოდა:
მთა-ბარი
მოგვევლო...
გვასწავლე
შვილობა,
მიწაო
მშობელო!

ელენე ნადირაშვილი

## კახეთისკენ მივიმღერი

დელივ-დელა, დელივ-დელი,
ჩავათავე სწავლის რთველი,
მელის სოფლად ბებო, პაპა,
მხიარულად მივიმღერი.
ჰერი, ჰერი, დელივ-დელი,
მომელიან მწვანე მთები,
ალაზანში გავგრილდები,
გარუჯული დავბრუნდები.
გზას გავყვები მაყვლიანსა,
ცვარიანსა, ლელიანსა,
მწყრების ბუდეს მოვაშორებ
კაჭკაჭსა და მელიასა.
დაღლილ ბებოს წყალს მივართმევ,
პაპას ავულესავ ცელსა,
გავუსვამ და გამოვუსვამ,
ბალახს მივუფიცხებ მზესა.
დელივ-დელა, დელივ-დელი,
კახეთისკენ მივიმღერი,
ვაზის ძირში ვიტრიალებ,
სანამ მოვა სექტემბერი.

**დიდება, სამშობლოვ, შენ თავისუფალო ხალხთა მეგობრობის ბურჯი ხარ შენ!**




ჩვენი სტუმარია
უკრაინის სსრ
საბავშვო ჟურნალი
„პიონერია"

# ჩემს სამშობლოში

თვალი გადაავლეთ საბჭოთა უკრაინის რუკას, შეხედეთ ჩვენს მხარეს, როგორც მას ჩვენ, 50 მილიონი უკრაინელი მოქალაქე ვუყურებთ. გადახედეთ თვალუწვდენელ აბიბინებულ ყანებს, გაისეირნეთ აყვავებულ ალუბლის ბაღებში, ყური მიუგდეთ მაღალმთიან კარპატებში ტრონჯისა და ტრემბიტის ხმებს, შეისუნთქეთ ზღვისა და აკაციის შერეული სურნელი, შეხედეთ მზეს უთენია მაღაროდან გამოსული დაღლილი მემაღაროელის თვალით, შეიგრძნეთ ჩვენი სიმღერების სევდა და სიხარული, თვალზე ცრემლი მოიცილეთ და აჰყევით გოპაკის თავშეუკავებელ რიტმს, ჩაუფიქრდით თხუთმეტსაუკუნოვანი მშვენიერი ქალაქის — კიევის ისტორიას, გაიზიარეთ გემთმშენებელისა და მხვნელ-მთესველის სიხარული ახალი გემის წყალში ჩაშვებისა და თავთავის დამწიფებისას.

სამი მილიონი უკრაინელი პიონერი ამაყობს თავისი რესპუბლიკით. გაივლის სულ ცოტა დრო და ისინი ამ სიმდიდრის ბატონ-პატრონნი გახდებიან. რამდენი ცოდნა და ოსტატობა, რამდენი პასუხისმგებლობაა საჭირო, რომ ასეთი მეურნეობა წარმართო.

დღეს ისინი სწავლობენ, აქტიურად მონაწილეობენ საკავშირო მარშში „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები". საბჭოთა ხალხის სახელოვან საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე უფროსი მეგობრების — კომუნისტებისა და კომკავშირელების ყოველდღიური საქმიანობის მაგალითებზე სწავლობენ ნორჩები სამშობლოს სიყვარულს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისადმი ერთგულებას. კარგი სწავლა და სანიმუშო ყოფაქცევა პიონერული რაზმების ძირითადი ამოცანაა. 140.000 ნორჩი ლენინელი ფრიადზე სწავლობს. რესპუბლიკის სკოლებში ნაყოფიერად მუშაობენ ურთიერთდახმარების საგუშაგოები, საგნობრივი წრეები, მეცნიერებისა და ტექნიკის ნორჩ მოყვარულთა საზოგადოებები. მარტო შარშან ჩვენი რესპუბლიკის 240 მოსწავლე დაჯილდოვდა მედლით „სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩი მონაწილე". ნორჩთა სასახელო საქმეების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. გავიხსენოთ მათი ნაწილი:

ესენია — 2000 პიონერული კომბაინი, თბომავალი, ავტობუსი, პიონერული ტროლეიბუსი, პიონერული ნადნობი დნეპროპეტროვსკის, ჟდანოვის, დონეცკის, კრივოი როგის მეტალურგიულ საწარმოებში, თევზის ქარხანა — ტრაულერი „ნიკოლაევის პიონერია", რომელიც წყნარი ოკეანის წყლებს სერავს.

გარდა ამისა ხუთი მილიონი სასკოლო რვეული დამზადდა ნორჩების მიერ შეგროვილი მაკულატურიდან. სახელმწიფოს ჩაბარდა 9 მილიონი კურდღელი, 4,5 ტონა სამკურნალო მცენარე. შეგროვდა სახსრები ქ. ვინიცაში, კიევსა და ვოლნოვახში გმირი პიონერების ძეგლების ასაგებად. 13.000-ზე მეტი უცნობი გმირი აღმოაჩინეს პიონერებმა, მოაწყვეს კომკავშირული დიდების 2000 ოთახი და კუთხე. ოპერაციის — „აჩუქე ადამიანებს სიხარული" რესპუბლიკურ შტაბში ყოველდღიურად თემურელთა რაზმების ასობით პატაკი მოდის: დავბარეთ ბებია ალექსანდრა ლიბანოვას ეზო, შევათეთრეთ ხეები, დავაწყვეთ შეშა; ბებია ზინაიდა იმკოვენკოს ბოსტანში სიმინდი და ხახვი დავთესეთ, დავრგეთ ყვავილები; 9 მაისს დილის 8 საათზე ქ. სუმის ყველა ბინაში, სადაც სამამულო ომის მონაწილენი ცხოვრობდნენ, ტელეფონი აწკრიალდა. თემურელებმა საზეიმო დღე მიულოცეს ვეტერანებს.

პლანეტის ყველა ქვეყნიდან ღებულობენ ბარათებს ნორჩთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები. რესპუბლიკაში 9 000 ასეთი კლუბია. ნორჩი ინტერნაციონალისტები მეგობრობენ მოძმე რესპუბლიკების თანატოლებთან.

რამდენი ნორჩი სპორტსმენი გვყავს! მილიონნახევარი პიონერი მშთ-კომპლექსის ნიშნოსანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ძლიერნი, მამაცნი და თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი იქნებიან.

დიახ, დღევანდელი ნორჩი ლენინელების მშობლებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ — მათ ღირსეული მემკვიდრენი ჰყავთ. იზრდება ღირსეული ცვლა, ხვალ ისინი მშობლიურ მიწას დაამუშავებენ, ახალ ქალაქებსა და სოფლებს ააგებენ, აქტიურად ჩაებმებიან კომუნიზმის მშენებლობაში.

**სერგეი ივანიუკი,**
ჟურნალ „პიონერიის" სასკოლო და პიონერული ცხოვრების განყოფილების რედაქტორი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზეიმობს საბჭოთა უკრაინის პიონერია

## დიდების ხეივანი

რა ერქვა ჯარისკაცს,
ვინ იყო, რა გვარის?
არავინ არ იცის
ამ გმირის ამბავი.

ეს ქვებიც რომ სდუმან,
ცივნი და უგრძნობნი,
ერთ ადგილს აწყვია
წარწერა: „უცნობი".

ხეებს დაუწყვიათ
საფლავზე ტოტები,
თაიგულს ფრთხილად ვდებ
მეც მუხლის მოდრეკით.

ომს ნუ დაივიწყებთ! —
მოგვძახის ჯარისკაცი.
ჩვენ ნუ დაგვივიწყებთ,
დაღუპულთ სამშობლოსთვის!

ომს ვით დავივიწყებთ
მშვიდობის დამცველები,
თაობებს ეხსომებათ
თქვენი სახელები.

ნატალია მუშჩინინა,
ქ. ოდესის მე-10 საშუალო
სკოლა, IX კლასი.

ვსევოლოდ ნესტაიკო

# ფიგურა

როცა ის პირველად შემოვიდა საკლასო ოთახში, იგორ დმიტრუხამ ხელები გაასავსავა და შესძახა:

— უჰ, რა ფიგურაა! ის იყო და ის, მეტსახელი „ფიგურა" ტკიპასავით მიეკრო მას. თანატოლებში ყველაზე მაღალი ჩანდა, ჩამოგრძელებული სასაცილო ცხვირი და გრძელი ხელები ჰქონდა, ტლანქი და მოუხეშავი იყო, ფრატუნით სიარულის დროს მარჯვენა ხელს უკან ისროდა. თითქოს უჩინარ კუდზე ირტყამსო.

მას იურა ხიტრიუკი ერქვა. წესით მეხუთე კლასში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მთელი წელი უავადმყოფია და ტრუსკავეცის ნოტიო ჰავისთვის რომ მოეცილებინათ, მშობლებმა იგი კიევში გადმოიყვანეს. საოცრად კეთილშობილი და უწყინარი ბიჭი აღმოჩნდა. კლასის ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანმა და ბიჭების წინამძღოლმა იგორ დმიტრუხამ წამსვე იგრძნო ეს. თავისი ადიუტანტების — ლესიკ სპასოკუკოცკისა და სტასიკ კუკუევიცკის თანხლებით „ახალთან" მივიდა და დამცინავად შეეკითხა:

— მომისმინე, ძია, მოსწავლის წესდება თუ იცი?

— ვ-ვიცი, — გაწითლდა [illegible] თურმე ენაც ებმებოდა.

— მეეჭვება, — თავი გააქნია დმიტრუხამ. — რა წერია მერვე პუნქტში? მერვე პუნქტში წერია: „ყველა მასწავლებელს, სკოლის თანამშრომელს, ნაცნობებს და ამხანაგებს მოსწავლე უნდა მიესალმოს". შენ მოგვესალმე?

— მე... მე... თავი დაგიკარით... — უფრო მეტად გაწითლდა ფიგურა.

— ჩვენში ასეთი სალამი არ მოდის! ჩვენ ვამბობთ: „გამარჯობათ, ძვირფასო მეგობრებო!".

სპასოკუკოცკიმ და კუკუევიცკიმ ჩაიხითხითეს.

— აბა, მოგვესალმე გეთაყვა! — ალერსიანად სთხოვა დმიტრუხამ.

ფიგურა წამოიზლაზნა, თავი გვერდზე გადახარა, ნაძალადევად გაიღიმა:

— გამარჯობათ... ძვირფასო მეგობრებო...

— აი, ეს სულ სხვა საქმეა!.. აბა, ძვირფასო მეგობრებო, მივესალმოთ ფიგურას!

დმიტრუხამ დირიჟორივით აიქნია ხელები და მთელმა კლასმა ერთხმად დაიყვირა:

—გამარ-ჯობა, ფი-გუ-რა!

და კიდევ სამჯერ გაიმეორა:

— ფიგურა! ფიგურა! ფი-გუ-რა!

და უცებ ყველა გამხიარულდა. ფიგურაც. ის გულიანად იცინოდა. ალბათ უყვარდა ხუმრობა და მხიარული ადამიანები, ეტყობა, დმიტრუხაც მოეწონა.

შესვენებაზე იგორი კედელთან მიყრდნობილ ფიგურასთან მივიდა და უთხრა:

— არა, შენ მაინც არ იცი მოსწავლეთა ქცევის წესები! რა წერია მეშვიდე პუნქტში? მეშვიდე პუნქტში წერია: „თავისუფალი დრო გონივრულად გამოიყენე: იკითხე, მიიღე მონაწილეობა წრეების მუშაობაში, ივარჯიშე". შენ კი რას აკეთებ? გაშეშებულხარ. აბა, შეასრულე წესდება!.. მოდი, ვივარჯიშოთ. ვნახოთ, ერთი, რა შეგიძლია, თუ კაცი ხარ, მოსცილდი კედელს!

როცა ფიგურა კედელს მოსცილდა, დმიტრუხამ შეჰყვირა „ჰოპა“ და ზურგზე მოახტა. მოულოდნელობისაგან ფიგურა შებარბაცდა და კინაღამ წაიქცა.

— აბა, ცხენებზე! — ბრძანა დმიტრუხამ.

სპასოკუკოცკი კუკუევიცკის მოახტა. შურიკ ბაბენკო ვალერა გალუშკინსკის... და მალე მარჯვე ცხენოსნებმა დერეფანში ჯირითი გამართეს, მხოლოდ დირექტორის, ვერა იაკოვლევნას ომახიანმა შეყვირებამ შეაჩერა ისინი.

— ყოჩაღ, ფიგურა! კარგი ჯირითი შეგძლებია! — შეაქო იგორ დმიტრუხამ, როცა ისინი უკვე ქვეითად შემობრუნდნენ კლასში. — გიცხადებ მადლობას და ბუკეფალის ორდენით გაჯილდოვებ. — და ფიგურას მკერდზე ცხენის გამოსახულებიანი სამკერდე ნიშანი დაუბნია.

— გმა-დლობ...თ — ბიჭმა თვალები აახამხამა და გაწითლდა.

იმ დღიდან ფიგურა იგორის პირველი ადიუტანტი გახდა.

დმიტრუხა მას უკვე თავის საკუთრებად თვლიდა და „ჩემს ფიგურას“ უძახდა.

„შეხედეთ ჩემს ფიგურას...“ — „ჩემი ფიგურა აი, ასე დადის!.. — მათემატიკის მასწავლებელი იძახებს, ის კი მერხიდან ვერ დგება — ქამრით დავაბი...“

ფიგურა კი... მთელი წელი საავადმყოფოში იწვა და ისე მოენატრა ბიჭებთან ყოფნა, ისეთი ვაჟკაცური და მხიარული ეჩვენებოდა დმიტრუხა, რომ ვერც მის დაცინვას ამჩნევდა, ვერც მის საწყენ ხუმრობებს. ანდა, შეიძლება ამჩნევდა კიდეც, მაგრამ პატიობდა...

ერთხელაც...

იგორ დმიტრუხამ სკოლაში პისტოლეტი მოიტანა. პისტოლეტის დანახვაზე ბიჭებს უნებლიე კვნესა აღმოხდათ, თვალი ვერ მოაცილეს, ასეთი რამ არც კი ენახათ.

ეს პნევმატური დამბაჩა რეზინის ბურთებით ისროდა და 10 მეტრზე ისე ძლიერად ურტყამდა, რომ ლურჯ ნაკვალევს ტოვებდა.

დიდ შესვენებაზე ამაყი იგორ დმიტრუხა დამბაჩის ქნევით ეზოში გავარდა. ბავშვები შურით მისდევდნენ უკან „ბედნიერ“ თანატოლს. უფროსკლასელებს რომ [illegible] ათ, ბიჭებმა მეზობ[illegible] ეზოში გადაინაცვლეს.

ფიგურამ კედელზე მიზანი დახატა და დმიტრუხამ გაისროლა, ისროდა საკმაოდ ზუსტად და ყოველი მოხვედრისას აღტაცებული ფიგურა ყვიროდა:

— ყოჩაღ, უჰ, რა მაგარია!

უცებ, ფარდულის კუთხიდან პატარა, ზოლებიანი კნუტი გამოძვრა. ბიჭებს შეხედა, კუდი გააქიცინა და ოდნავ გასაგონად დაიკნავლა. იგორ დმიტრუხას თვალები გაუბრწყინდა.

— ყურადღება! იწყება ნადირობა ბენგალიურ ვეფხვზე!

— არ გინდა! — შეევედრა ფიგურა.

— შეწყვიტეთ ლაპარაკი! ხელს ნუ უშლით მონადირეს!

იგორმა დაუმიზნა და ისროლა. ფისუნიას მწარედ ეტკინა, აცახცახდა და საცოდავად დაიკნავლა, მაგრამ არ გაქცეულა, სულელი იყო და საფრთხეს ვერ გრძნობდა. ფიგურა ორი ნახტომით კნუტთან გაჩნდა და ხელში აიტაცა.

— რაო? — დაიღრიალა დმიტრუ-



დიმა სანკო,
VI კლასი.

## მესაათე

 აი, მოდის მესაათე,
ნაბიჯი აქვს დინჯი, სწორი,
მას ცალ ხელში საათი აქვს,
მეორეში კი — სასწორი.

ის საათიც, ის სასწორიც,
მესაათეც, ზუსტი არის,
მიტომ დადის ამ ოსტატთან

ყველა ჩვენი ბინადარი.
ყველა საათს უმკურნალებს
მესაათის მარჯვე ხელი,
არ ელევა „ავადმყოფი“,
არც მადლობის მთქმელი.

იულია კაცი,
კიევის 161-ე საშუალო
სკოლა, V კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხამ, — ახლავე მომეცი ბენგალიური ვეფხვი!

— არ მოგცემ, — წყნარად თქვა ფიგურამ, — ვერა ხედავ, რომ სტკივა. — ბიჭის გრძელი, მელნიანი ხელები ფრთხილად და ნაზად ეფერებოდნენ კნუტს.

— ახლავე მომეცი ბენგალიური ვეფხვი, ბლუკუნა საფრთხობელავ! — დაისისინა დმიტრუხამ და კუდში სტაცა ხელი კნუტს. „ბენგალიურმა ვეფხვმა" საცოდავად დაიკნავლა და უცებ საოცარი რამ მოხდა. ფიგურამ დმიტრუხას ცხვირში ორი თითი წაავლო და ისე მაგრად მოუჭირა, რომ ბიჭმა იკივლა. მერე ფრთხილად ჩამოსვა მიწაზე კნუტი, ცალი ხელით სწრაფად წაართვა დმიტრუხას დამბაჩა და ფარდულის სახურავზე ააგდო, შემდეგ დაავლო ხელები დაბნეულ ბიჭს და მაღლა ასწია. დმიტრუხა უმწეოდ აფართხალდა; ფიგურამ მიიყვანა იგი წყალსადენის მილთან, დაგუბებულ წყალში ცხვირი ჩააყოფინა და შეეკითხა:

— რა წერია მოსწავლეთა ქცევის წესების ბოლო პუნქტში? „გავუფრთხილდეთ ბუნებას". შენ კი რას აკეთებ, ა? კიდევ გააწვალებ ცხოველებს, თქვი, გააწვალებ?

ბიჭები ჩუმად შესცქეროდნენ. ფიგურამ კიდევ ერთხელ ჩააყოფინა დმიტრუხას ცხვირ-პირი გუბეში და შეეკითხა:

— გეკითხები, კიდევ იზამ?

დმიტრუხას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ ბუშტუკები გაუშვა წყალში. მეოთხეჯერაც რომ ჩაყო გუბეში ცხვირ-პირი, იგორი ფიგურას შეევედრა:

— გა-გა-მიშვი, რა, მეტს აღარ ვიზამ!

ფიგურამ გაუშვა.

აწკრიალდა გაკვეთილზე შესვლის ზარი. ბიჭები ხმაამოუღებლად გაიქცნენ კლასისკენ. მათ ფიგურაც მიყვა.

ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი, წინამძღოლი და მეთაური იგორ დმიტრუხა კი გუბესთან ჩაცუცქულიყო და მწარედ ტიროდა.

კაცს ეგონებოდა, გუბე მისი ცრემლებისაგან გაჩნდაო.




ოქტომბრის ზეიმზე. სვეტლანა შაკოვალოვა, 10 წლის.

# ჩემი სახელი

მოვევლინე თუ არა ქვეყანას, ნათესაობაში დიდი ალიაქოთი ატყდა. სახელი ხომ უნდა დაერქმიათ ჩემთვის, და აი სულ მოკლე ხანში ჩემი დედა, მამა, ბებია და დეიდა მეტად საპასუხისმგებლო თათბირზე შეიკრიბნენ, რომელზეც ჩემთვის სახელის შერჩევის პრობლემა უნდა გადაეწყვიტათ. ყველა მშვიდად მიუჯდა მაგიდას, მაგრამ იგრძნობოდა, რომ არც ერთი თავის ნათქვამს არ გადათქვამდა და ეცდებოდა თავისი წინადადება ბოლომდე გაეყვანა. მამა თხოულობდა ჩემთვის როლანდი დაერქმიათ; წინააღმდეგ შემთხვევაში ხანგრძლივ მივლინებაში გამგზავრებით იმუქრებოდა. დედას მაინცდამაინც სახელი ოქსენი მოსწონდა, მაგრამ იცოდა, რომ მამა სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ სახელისა; ბებიას მაქსიმი უნდოდა, მაგრამ რაკილა გრძნობდა, რომ მისი ოცნება არ ახდებოდა, დაიქადნა, სოფელში წავალ და მაგ ბავშვს სულაც დავივიწყებო.

ხუთი შვილის მამა, ძია ბოგდანი სახელებში ყველაზე უკეთ ერკვეოდა, მისი სურვილი იყო ანდრეი ვყოფილიყავი.

— ანდრეი, ანდრეი! — გაიძახოდა ის და თან მაგიდას ხელს ურტყამდა. სამწუხაროდ, მის ავტორიტეტს ანგარიში არავინ გაუწია. მაშინ ძია ბოგდანმა სასტიკი გადაწყვეტილება მიიღო: საზღვარგარეთიდან, სადაც იგი მუშაობდა, იაპონურ მაგნიტოლას აღარ ჩამოიტანდა. ხოლო რადგან ჯერჯერობით დაპირებული საჩუქარი მამას უფრო აინტერესებდა, მან ხელად ძია ბოგდანის მხარე დაიჭირა და ახლა ისიც ანდრეის გაიძახოდა.

დეიდას, რომელიც პოლტავაში ცხოვრობდა, უნდოდა ჩემთვის ნიკოლაი დაერქმია.

ჰოდა ამ რჩევაში სახლში ისეთი აურზაური ატყდა, რომ ძია ბოგდანმა ახალი გადაწყვეტილება მიიღო: შეკრებილთაგან ერთ-ერთი ოთახიდან უნდა გასულიყო, დანარჩენებს ბიძაჩემის ხუთი თითისთვის თავთავისი შერჩეული სახელები უნდა დაერქმიათ და ოთახში შემობრუნებული რომელ თითზეც მიუთითებდა, იმ სახელს დამარქმევდნენ.

ბებიამ ნეკა თითზე აჩვენა, ნეკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მაქსიმს შეესატყვისებოდა, სწორედ ბებიას ნანატრ სახელს. გახარებული ბებია ზეიმობდა, დანარჩენები კი პროტესტს აცხადებდნენ და არჩევანის გადათამაშებას მოითხოვდნენ. როცა დაიღალნენ, მამამ სახელის არჩევის ახალი ვარიანტი შესთავაზა ნათესავებს.

ყველა ჩაფიქრებული სახელი ერთ სვეტად ჩამოწერეს:

როლანდი,

ოქსენი,

მაქსიმი,

ანდრეი,

ნიკოლაი,

მერე დედას თვალი დაახუჭინეს და ხელში კალამი მისცეს. რომელ სახელსაც დედას კალამი მოხვდებოდა, ის სახელი უნდა აერჩიათ ჩემთვის. მაგრამ ის იყო დედაჩემმა თვალები დახუჭა, რომ დეიდამ წამოიძახა:

—შეხედეთ, სვეტში ახალი სახელი გამოვიდა! რომან! ვაშა, რომან! ეს სახელი დასახელებული ყოველი სახელის პირველი ასოებისაგან შედგებოდა: როლანდი, ოქსენი, მაქსიმი, ანდრეი, ნიკოლაი. გადაწყდა ამ სახელზე შეჩერებულიყვნენ, მაშინ გულიც აღარავის დაწყდებოდა. და ასეც მქვია.

**რომან მიხაილენკო,**

ქ. კიევის 101-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

# მე — მასწავლებელი

შეიხედეთ მე-2-ა კლასში. ჩვეულებრივი კლასია, ჩვეულებრივი მოსწავლეები. არაჩვეულებრივი მხოლოდ მასწავლებელია. ესე იგი, მე.

ყველაფერი კი ასე მოხდა. სკოლაში „თვითმმართველობის" დღე შემოიღეს. ახლა თითოეულ უფროსკლასელს შეუძლია საქმეში გამოცადოს საკუთარი თავი.

მე ისტორიის გაკვეთილი უნდა ჩავატარო. სამკითხველოში გვიანობამდე ვიჯექი. წიგნებს ვკითხულობდი, თან იმის ფიქრში ვიყავი, როგორ შევდივარ კლასში, როგორ შეკითხვებს ვაძლევ მოსწავლეებს, რა მასალას ვუხსნი. კონსპექტი სახელდახელოდ მოვამზადე, თემა კი თითქმის ზეპირად ვისწავლე. მერე კი ვიჯექი ჩემს მე-7-ბ კლასში, მასწავლებელს ვუყურებდი, გონებით კი მე-2-ში დავქროდი.

დადგა ეს დღეც. პორტფელითა და საკლასო ჟურნალით ხელში საკმაოდ დარბაისლურად გამოვიყურებოდი. კლასში შესვენებაზე შევედი, უნდა მომესწრო დამშვიდება და ილუსტრაციების ჩამოკიდება. (ისე ვიქცეოდი, როგორც მასწავლებელმა მირჩია).

— მაშ, ასე, დავიწყოთ გაკვეთილი.

— დავიწყე დაზეპირებული ფრაზით და ვიგრძენი, რომ ლოყები ამილაქლაქდა. ბავშვები კი არც განძრეულან: მიხვდნენ, რომ ყველაფერი მათზე იყო ახლა დამოკიდებული. ვყვები ზამთრის სასახლის იერიშზე.

— კერენსკი სად გაქრა? გაიპარა? — გაისმა მოულოდნელად შეკითხვა.

შევცბი. ვიღაცამ ჩაიხითხითა, უკანა მერხზე ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს, აჩურჩულდნენ. ვიგრძენი, რომ მოსწავლეებთან კონტაქტს ვკარგავდი.

— ახლავე მოგიყვებით, — განვაცხადე გაბედულად, თან ვცდილობდი წვრილმანები გამეხსენებინა. ბავშვები ყურადღებით მისმენდნენ. შემდეგ ყველამ ერთად მომავალი გაკვეთილის გეგმა შევიმუშავეთ. ერთმანეთს შეკითხვებს ვაძლევდით. რატომღაც მეღიმებოდა, ალბათ, სულელურად გამოვიყურებოდი. მაგრამ მასწავლებელმა დამამშვიდა, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო. პირველმა სერიოზულმა დავალებამ დამამეგობრა მეორეკლასელებთან. ახლა თითქმის ყოველდღე ვხვდებით ერთმანეთს. ვინ გამოვალ მომავალში? ჯერ არ ვიცი. ერთის თქმა კი შემიძლია, მოუთმენლად ველი ხვალინდელ დღეს, რომ ისევ მე-2-ა კლასში შევიდე.

**ლუდა სავკოვა,**

ქ. ნიკოლაევი, IX კლასი.

თედია პაპას სიცოცხლის ნახევარი მთებში ჰქონდა გატარებული. ჩინებული მთამსვლელი და მგლისმუხლა მარჯვედ ჰკვალავდა სხვათათვის მიუვალ ბილიკებს. ფეხმარდ ქურციკებს ადევნებული, მწვერვალებისაკენ ასროლილ უჩინ-მაჩინ გზას აჰყვებოდა და ზღაპრული გოლიათების სამფლობელოში ამოჰყოფდა თავს.

ახლა კი ოთხმოც წელს მიტანებულ ბერიკაცს აღარც მუხლი ჰქონდა მგლისა, აღარც თვალი შევარდნისა, მაგრამ გაუტეხელი გული და დედაბუნების ტრფიალი მაინც ძველი შემორჩენოდა.

ჩუმად იცოდა გაპარვა. წავიდოდა და რამდენიმე დღით გადაიკარგებოდა. აღარ ვიცოდით, მოუსვენარი კაცის ბედზე გვეფიქრა თუ ბებიას გაუთავებელი ვიშვიშისათვის გაგვეძლო.

— სად გადაიკარგები ხოლმე, შე ჩემი ცოდვით სავსევ, არ გეშინია, ხიფათს გადაეყარო და სულიან-ხორციანად დაიკარგო? — საყვედურით იკლებდა შინ მობრუნებულ პაპას.

— ხიფათს რა, ლეკის ჯარი დამეცემოდა?

— შენ როგორა, სიბერეში არა სდებ თავსა? — გაიკვირვებდა ბებია. — მოეშვი მთებში სიარულს, იქ არ ამოგხდეს სული!

— ნეტა მთაში მომისწრებდეს ის იხერი! მკვდარიც კი ვიგრძნობ მზის გულზე გამოფენილი ყვავილების მშვენებას. ჯიხვი, არჩვი, შველი ჩემს საფლავს ზედ გადაუვლიან, იმათი ჩლიქების თქარუნი გამომაფხიზლებს... მთები ძეგლებად დამადგებიან! ამაზე კარგს რას ინატრებს კაცი!..

გუშინდელ დღესავით მახსოვს პაპა თედიას უკანასკნელი ზაფხული.

ქალაქიდან ბიძაშვილები ჩამომივიდნენ, მთელ ზაფხულს სოფელში აპირებდნენ დარჩენას. მე და ზაზა თანატოლები ვიყავით, ლაშა ჩვენზე უმცროსი იყო, მაგრამ სიმაღლესა და სიმარდეში ორივეს გვჯობდა. გიყვარდეთ, თავი ავიწყვიტეთ! აღარც



# დედობილი

ანა დიდიძე

მხატვარი დ. ხარაფიშვილი

მოთხრობა

ჰამა გვახსოვდა, აღარც დასვენება. აფრააშვებული ნავებივით, საითაც ქარი დაგვიბერავდა, იქით დავქროდით.

შუა კვირაში ახოდან დაბრუნებულმა პაპამ ტყავის გაცრეცილი ჩანთა შინ შემოიტანა და ფრთხილად დადგა ძირს.

— რა არის ეგ, პაპი? — მივცვივდით ბიჭები.

პაპამ ულვაშებში ჩაიცინა, ნიჩაბივით ფართო ხელები ჩანთას ზედ გადააფარა და კითხვითვე გვიპასუხა:

— აბა, რომელი გამოიცნობს, რა არის?

— სოკო!

— კოდალა!

— ზღარბი!

— გვრიტის ბარტყები! — რაღა აღარ ჩამოვთვალეთ...

პაპამ ფრთხილად ჩაყო ხელი ჩანთაში, კატის კნუტის ტოლი თაფლისფერი ცხოველი ამოიყვანა და იატაკზე დასვა. მერე მეორე და მესამე მოაყოლა. მელიის ლეკვები იყვნენ. ნამდვილი, ცოცხალი მელაკუდები! ისეთი ყიჟინი ავტეხეთ, საცოდავებს შიშის კანკალი აუტყდათ, სამალავის საძებნად აწრიალდნენ. საითაც გაიწიეს, ბავშვების წინგაწვდილ ხელებს წააწყდნენ, მერე ერთმანეთს მიეტმასნენ და გაყუჩდნენ.

— ეგრე ნუ ხმაურობთ, დააცადეთ, მოშინაურდნენ, მიეჩვიონ აქაურობას!..

— ხელში ნუ აიყვანთ, გაილახებიან!..

— ია გირჩევნიათ, თბილ-თბილი რძე მოართვათ თქვენს სტუმრებს! — გვირჩია პაპამ.

ჯამით რძე დავუდგით, პური ჩავუფხვენით, კუთხეში ბალახი დავუყარეთ — საწოლი მოვუმზადეთ. ყველაზე თამამი ლეკვი რძიან ჯამს მიუახლოვდა, ცხვირი შიგ ჩაყო, უმალ უკან დაიხია, ენით მოილოკა ცხვირპირი, ყურზე თათი ჩამოისვა, თავი ვერ შეიკავა და გადაყირავდა. ჩვენ გასუსულები ვადევნებდით თვალს და სიცილს ძლივს ვიკავებდით.

მელიკო წამოდგა, ეტყობა, მოეწონა რძე, ისევ მივიდა ჯამთან და ხარბად დაუწყო სმა. სხვებმაც მიჰბაძეს. ერთმა თათი ჯამის პირზე ჩამოდო, ჯამი გადაიქცა, რძე დაიღვარა და ტახტის წინ დაფენილ დათვის ტყავს წაუდგა. მუცელგატიკნილი მელიები იატაკზე გორავდნენ და ერთმანეთს ეთამაშებოდნენ. აფორიაქებული ბოთვერა კი კართან ტრიალებდა და შინ შემოსასვლელად იწევდა.

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა:

ორი დღის წინ პაპამ ბოთვერას ლეკვები გადმოუყარა: უჯიშოები არიან, საძაღლეთი გადაჯიშდებაო.

ძაღლმა ბევრი ეძება, მაგრამ შვილების კვალს ვერსად მიაგნო. დარდისგან დაწვა ჯიხურთან, აღარც საჭმელს გაეკარა და აღარც ფეხი მოიცვალა ადგილიდან.

— ნახე, თუ ბოთვერაც არ მოკვდეს! — ვუსაყვედურე პაპას.

— ძაღლია, არ მოკვდება, — მითხრა პასუხად.

მართლაც, [illegible] დანახვამ ბოთვერა [illegible] გამოცვალა. [illegible] ქიცინით შემოირბინა, [illegible] ძოძდგა [illegible] და წინა თათებით მიწას ფხოჭნიდა.

— არა, რო მოგყავდა, აად მოგყავდა?! წლეულს ორიოდე წიწილა გადაურჩა ჭირს, ისიც მელიებს გინდა დააჭამო?! — შემოგვესმა გარედან ბებიას ხმა.

— ობლები არიან, დედაკაცო, ეტყობა, დედა ხაფანგში გაება სადმე. სოროს წინ გამოსულიყვნენ, ისე აცოდავად წრიპინებდნენ, შემეცოდნენ. იცხოვრონ აქა, ვერა ხედავ, ბიჭებმა როგორ გაიხარეს? წამოიზრდებიან თუ არა, საიდანაც წამოვიყვანე, იქავ გავუშვებ.

— ჰო, მანამდე ჩვენი ეზოს ასავალ-დასავალსაც ისწავლიან და წიწილებსაც კარგად გაუგებენ გემოს... თავიდან მომაშორე, სულერთია, ამაღამვე გადავყრი!

— შენი ჭირიმე, ბები, არ გადაყარო, როცა თბილისში წავალთ, თან წავიყვანთ და ზოოპარკში ჩავაბარებთ! — იხვეწებოდნენ ზაზა და ლოშა.

— ნეტა რა მალაპარაკებს, მაგ თქვენს მელაკუდებს ბოთვერა მოუვლის თავად. თუ მოიხელთა, გიყვარდეს, საჩოხე მატყლივით გაწეწ-გამოწეწოს! — თქვა გულმოსულმა ბებიამ და გაჩუმდა.

გათენებისას მამლის ომახიანმა ყივილმა გამომაღვიძა. წყალგადასხმულივით წამოვკვრდი, ტახტის ქვეშ

შევძვერი და ხელები მოვაფათურე.

— მანდ რას აკეთებ, ბიჭო? — გამომელაპარაკა პაპა.

— მელიები გაპარულან, აღარ არიან, პაპი!

— წადი, დაწექი, აქ იქნებიან სადმე! — დამტუქსა ძილგამფრთხალმა.

რა მომასვენებდა!

„სულერთია, ამაღამ გადავყრი“! — გამახსენდა ბებიას მუქარა.

— შენ გადაყარე მელიები? რად გადაყარე მელიები? რად გადაყარე, ჰა?! — დავადექი თავზე.

— არა, თქვენმა სიცოცხლემ, ხელი არ მიხლია. დაიცა, ავდგები, მოვნახავ! — დაფაცურდა ბებო.

ხმაურზე სხვებსაც გაეღვიძათ.

— რაო? მელიები გაპარულან?! — გამოცვივდნენ ზაზა და ლაშა.

— ფანჯარა ვინ დატოვა ღია? ბოთვერა სად არის? — იკითხა პაპამ და გარეთ გავიდა.

— უი, მომიკვდეს თავი! მელიები აღარ მომგონებია!

— ვაიმე, დასჭამდა! — [illegible] იმედგადაწურულს.

ახლა ეზოში დავიწყეთ ძებნა. არც ბოთვერა და არც მელიები არსად ჩანდნენ. ხელები უიმედოდ ჩამოვყარე და სწორედ მაშინ პაპას ხმა შემოგვესმა:

— აქ მოდით, რა გაჩვენოთ!

სათივესთან მდგარი პაპა რაღაცას დასცქეროდა და პირჯვარს იწერდა. გულის ფანცქალით მივიჭერ და... გაოცებისაგან ენა მუცელში ჩამივარდა: ზვინის ძირას გაწოლილ ბოთვერას მელიის ლეკვები ძუძუებში ჩაფრენოდნენ და არხეინად სწოვდნენ.

პაპამ ჩაიმუხლა. „ბოთვერ, ბოთვერო“, — ჯერ ძაღლს მოეფერა, მერე მელიებისაკენ გააპარა ხელი. ძაღლს სიანჩხლისაგან ბალანი აეშალა და დაიღრინა.

— არა, ბოთვერ, ამათ არ გადაგიყრი, შე საცოდავო! კარგი გიქნია, აწოვე, აწოვე!

თითქოს პატრონის ნათქვამი გაიგოო, ძაღლმა კისერი გვერდზე გადააგდო და გაწვდილ [illegible] ჩამოჰკრა თათი.. [illegible] ვინმეს მელიებისაკენ წაეღო ხელი, ბოთვერა მაშინვე კბილების კაპუნსა და ღრენას იწყებდა.

— დიდება შენდა, ღმერთო! ამდროული კაცი ვარ, არ გამიგონია, ორი დღის მშიერ ძაღლს ნადირი დაენდოს დაენდოს რომელია, დედობილად არ მოჰკიდებია?! ეს რა საოცრება ვნახე, კაცო!

მთელმა ოჯახმა აქ მოიყარა თავი. ყველას ერთი კითხვა გვიტრიალებდა — როგორ აღმოჩნდნენ მელიები სათივესთან?

— ამას რა დიდი მისნობა უნდა, წუხელ ბოთვერა ღია ფანჯრიდან გადმოსულა, თითო-თითოდ წამოუხამს და სათივესთან დაუმალავს. თავისი დაკარგული ლეკვების ჯივარი ამათზე დაუყრია, — აგვიხსნა თედია პაპამ.

ძაღლი იწვა ნებივრად გადაშხლართული, ძუძუებში ჩაფრენილი მელიები სწოვდნენ და არაფერი გაეგებოდათ ბუნების ამ საოცრებისა.



●

მელიები მალე დაიგეშნენ. დაიგეშნენ და მთელ უბანში გააქრეს წიწილების სინსილა. ბებია დიდი ჯოხით დასდევდა, მაგრამ როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ, ელვის უსწრაფესად უჩინარდებოდნენ.

— გინახავთ ეგეთი უჯიათი ადამიანი? ამ ხნის კაცი ბალღების ჭკუისა როგორა ხდება, გეთაყვათ?! — ბრაზობდა ბებია.

გაიცილებდნენ თუ არა თავის მოისხანე მტერს, მელაკუდები მაშინვე ჩვენთან გაჩნდებოდნენ. გამოულევლად გვქონდა მათთვის შენახული სადილის ნარჩენები, რძე, ყველი. დანაყრდებოდნენ, ციყვებივით ზედ აგვაცოცდებოდნენ და ნიკაპქვეშ თავშერგული გაინაბებოდნენ; არც დედობილთან იშლიდნენ ნებივრობას.

აგვისტოში თეო ბიცოლა ჩამოვიდა ბიჭების წასაყვანად — ზღვაზე აპირებდა წასვლას დასასვენებლად. ზღვა კი კარგი იყო, მაგრამ აჭაური



ეროვნული ბიბლიოთეკა

ველ-მინდორი, დაბურული ტყე და გიჟმაჟი ჩახრიალა ბიჭებს ჯერ არა ჰქონდათ მოსურვილებული.

— რას დაიზლაზნები, სხვა დროს აკი გიხაროდა ზღვაზე წასვლა? — შენიშნა ზაზას დედამ.

— ცოტნე არ მოდის, არც მელიები გვეყოლება იქ! — აბუზღუნდა ზაზა.

— მხარი მტკივა, ვერ ვიცურავებ, — დაურთო ლაშამ.

უფროსებმა თავისი გაიტანეს.

ბიჭები მელიების მოსახელებლად გამოვედით ეზოში, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ!

— ვინ იცის, რომელი მეზობლის საქათმეს უთხრიან ძირს!

— გამომშვიდობებაც ვერ მოვახერხეთ!

— რა დროს გვიღალატეს! — ამოიქშინა ლაშამ.

— გვიანდება, მატარებელი გაგვისწრებს! — მერამდენედ გვაფრთხილებს თეო ბიცოლა.

მატარებლის სადგურში შემოსვლა და თედია პაპას გამოჩენა ერთი იყო. ხელში პირმოკრული კალათა ეჭირა.

— ორი დავიჭირე, მესამე გამექცა... აჰა, ზოოპარკში მიიყვანეთ! — ქოშინით ამოთქვა, კალათა ზაზას მიაჩეჩა და ოფლით დაცვარული შუბლი მოიწმინდა.

ლაშამ და ზაზამ კალათა მაღლა აიტაცეს.

— სად იპოვე, პაპი?

— როგორ დაიჭირე?

— ამათი სამალავი ვიცოდი! — მოკლედ მოსჭრა პაპამ — გრძლად მოყოლის დრო აღარ იყო, მატარებელი დაიძრა კიდეც.

უცებ ძაღლის ყეფა გაისმა. ბაქანზე გაალმასებული ბოთვერა შემოიჭრა და მატარებელს აედევნა.

— ბოთვერ, ბოთვერ! დავუძახე მე.

— ბოთვერ, ბოთვერ! — ატეხეს ყიჟინა ფანჯარაში გადმომდგარმა ბიჭებმაც.

მატარებელმა სისწრაფეს უმატა, ძაღლმაც უმატა სირბილს. კარგა მანძილზე სდია, ბოლოს დაეწია იმ ვაგონს, რომელშიც ლაშა, ზაზა და ლეკვები ეგულებოდა, ზამბარასავით



მოსწყდა დედამიწას, კიბეზე შემხტარი უკან გადმოქანდა და... ბორბლებს ქვეშ შევარდა.

მატარებელი ბიჭების ყვირილსა და ფანჯრებთან მომწყდარი ხალხის ხმაურში გაუჩინარდა...

# მიეცი ნიჭსა გზა ფართო...



სკკპ XXVI ყრილობამ სახალხო განათლების მუშაკთა წინაშე გრანდიოზული ამოცანები დასახა. სკოლაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება მოზარდის პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი ცხოვრებაში, მისი მსოფლმხედველობა, იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე, მოქალაქეობრივი თვისებები, მხატვრული გემოვნება. მაღალი ამოცანებიდან გამომდინარე სულ უფრო იხვეწება და სრულყოფილი ხდება სწავლების მეთოდები და ხერხები.

ახლახან ქ. ერევანში ჩატარდა VI საკავშირო პედაგოგიური კითხვა, რომლის ძირითადი ამოცანა გახლდათ სახალხო განათლების აქტუალური პრობლემების განხილვა-გადაწყვეტა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის საკითხებს. კითხვის მონაწილეთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა თბილისის 117-ე საშუალო სკოლის მასწავლებლის მერი ხარტიკოვას მოხსენებამ „მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის და ესთეტიკური გემოვნების განვითარება". მოხსენება, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით აღინიშნა, აგებული იყო პედაგოგ მერი ხარტიკოვას მუშაობის გამოცდილების და საყოფაცხოვრებო მომსახურეობითი შრომის გაკვეთილების პრაქტიკაზე.

თბილისის 117-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა საქმიანობის უკეთ



ქ. მარქსის სახ.



ჭუნს ვერავინ დასდებს [illegible] აშვილის, დალი თათანაშვილის, [illegible] ჩაჩუას, მანანა მოისწრაფიშვილისა და ნანა ქერეჯაშვილის მომზადებულ კერძებს.



როგორც დაოსტატებულ მკერავს, ისე ემორჩილება ნანა ჩაჩუას საკერავი მანქანა.

გაცნობის მიზნით ვეწვიეთ საყოფაცხოვრებო მომსახურეობითი შრომის კაბინეტს.

ჩვეულებრივ საკლასო ოთახში კი არა, ზღაპრულ სამყაროში მოვხვდით თითქოს. თვალს ახარებს გოგონების შეკერილი, მოქსოვილი, მოქარგული, აპლიკაციით შესრულებული ნამუშევრები, სხვადასხვა მასალიდან გაკეთებული მხატვრული შემოქმედების ნიმუშები. არც ერთი მათგანი მეორეს არა ჰგავს, თითოეულს თავისებური სილამაზე, სინატიფე, ფერთა შეხამება ახასიათებს.

ზუსტად არის გადმოცემული ლუარსაბ თათქარიძის ხასიათი, სევდიანად იყურება ფიროსმანიშვილის „მეთევზე“, მომაჯადოებელია ცირკის ზღაპრული სამყარო, იხვის ჭუჭული კი ისეთი ნაზი და ფაფუკია, რომ ცოცხალი გეგონება. მოსწავლეებს ხელოვნების მშვენიერი ნიმუშები შეუქმნიათ.

**მ. ხარტიკოვა:** 1964 წელს ჩამოვაყალიბეთ მხატვრული ქარგვის წრე. ამ ხნის განმავლობაში წრეში გაერთიანებული მრავალი გოგონა დაეუფლა ჩხირებითა და ყაისნალით ქსოვას, ქარგვის, ჭრა-კერვის, აპლიკაციის ხელოვნებას.

ამჟამად წრეში 15 გოგონა მეცადინეობს. შედგენილი გვაქვს სამუშაო გეგმა. თითოეული გოგონა ინდივიდუალურად მეცადინეობს. წრის მეცადინეობას შემდეგნაირად ვაგებთ—თავდაპირველად ერთად ვკითხულობთ ზღაპარს ან სხვა ნაწარმოებს, შემდეგ ვასურათებთ მას, მერე ნახატები კალკის ქაღალდზე, აქედან კი ტილოზე გადაგვაქვს, ვლამბავთ, გამოვყოფთ კონტურებს, ვარჩევთ სასურველ ფერებს და ვიწყებთ ძირითადი დეტალების დამუშავებას (პირველ რიგში — სახე, შემდეგ დანარჩენი). ნაწარმოების დედააზრის ნემსითა და ძაფით ამეტყველება, საკუთარი ხელით ლამაზი და გამოსაყენებელი საგნების შექმნა დიდ სიხარულს ანიჭებს ბავშვებს. გარდა ამისა, მუშაობის პროცესში მათ უმუშავდებათ სიფაქიზე, გემოვნება, ნებისყოფა.

**ირმა არსენიშვილი,** VIII კლასი: მართალია, წრის მეცადინეობა კვირაში ერთხელ ტარდება, მაგრამ ჩვენ თითქმის ყოველდღე ვიკრიბებით. ჩემი პირველი ნამუშევარია „იხვის ჭუჭული“. ახლახან დავამთავრე „შვლის ნუკრის ნაამბობი“. ხშირად დავდივარ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, განსაკუთრებით მაინტერესებს ქართული ხალხური კერამიკა. თიხა ოდითგანვე ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალება იყო საყოფაცხოვრებო ნივთების დასამზადებლად. სოფელ იყალთოში, სადაც ხშირად დავდივარ, მეჭურჭლეობა ერთ-ერთი გავრცელებული ხელობაა. პაპაჩემი ხშირად ახსენებს ხოლმე ამ საქმის ოსტატებს — მრელაშვილებს, შაშიაშვილებს, ბოტკოველებს. სოფელში ყოფნისას გაფაციცებით ვადევნებ ხოლმე თვალს, როგორ ამუშავებენ თიხას, როგორ გადაიქცევა იგი ადამიანის ხელში ხან კოკად, ხან ტოლჩად, ხან ქოთნად, დგანან ერთიმეორის მიყოლებით გოზაური, ხელადა, აზარფეშები, სურები და თავს იწონებენ.

კერამიკის ხელოვნებამ ისე გამი-



აი, ასეთი წარმოუდგენია დალი თათანაშვილს ლუარსაბ თათქარიძე.

ტაცა, რომ გადაწყვეტილი მაქვს სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ამ სპეციალობით გავაგრძელო.

**მარიკა ჩხეიძე,** VII კლასი: აქ მეცადინეობა იმის საწინდარია, რომ მომავალში ჩვენ უნარიანად გავუძღვებით საოჯახო საქმეს.

**ნანა ომანიძე,** VII კლასი: ძალიან მიყვარს შრომის გაკვეთილები, რომლებზეც საოჯახო საქმიანობას ვსწავლობთ. ნამდვილად ყველამ უნდა იცოდეს ელექტროგაყვანილობის სისტემა, შეეძლოს საოჯახო ნივთების (უთოს, მტვერსასრუტის, საპრიალებელი და სარეცხი მანქანის) შეკეთება.

**მ. ხარტიკოვა:** სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ მოსწავლეები დაინტერესებულნი არიან საოჯახო საქმიანობით, გულმოდგინედ სწავლობენ ხელგარჯილობას და წარმატებით იყენებენ მას ცხოვრებაში, ეჩვევიან შრომისადმი პრაქტიკულ დამოკიდებულებას. მხატვრული ქარგვის წრეში მუშაობა უვითარებს ბავშვებს ხალხური კულტურის ფასეულობათა სწორი აღქმის უნარს, ასწავლის ყოველი სამუშაო შესრულონ გემოვნებით, ზედმიწევნით ფაქიზად და ლამაზად. მე ყოველთვის ვცდილობ მჭიდროდ დავუკავშირო წრის მეცადინეობა ხელოვნებას, აღვზარდო ბავშვებში შრომის სიყვარული, ვასწავლი გამოყენებითი ხელოვნების ისეთი ნიმუშების დამზადებას, რომლებიც უპასუხებენ ტექნიკურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს, ვუხსნი სხვადასხვა მასალის მხატვრულ თვისებას. ზაფხულის პერიოდში მოსწავლეები სოფლებში ეძებენ ხელით შესრულებულ ნამუშევრებს, ორნამენტებს, იხატავენ მათ, შემდეგ კი წრის მეცადინეობაზე ერთად ვამუშავებთ მათ ფერებში, ყველაფერი ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ზოგად განვითარებას.

**თამარ კაპანაძე,** VIII კლასი: მოსწავლეთა XXXVI რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციისათვის მოვამზადე თემა „ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტების გამოყენება ქარგულობაში თანამედროვე ბინის მოწყობაში". ძველი ქართული ორნამენტების ნიმუშები მეტყველებენ მხატვრული სახეებისა და ხერხების მრავალფეროვნებაზე. ორნამენტი ქართველ ოსტატებს დიდებული ტაძრების, ხელნაწერი წიგნებისა და საყოფაცხოვრებო საგნების შესამკობად გამოუყენებიათ. ძალიან მიყვარს ქარგულობა. მხატვრული ქარგულობით შეიძლება გაფორმდეს ტანსაცმელი და ზოგიერთი საოჯახო საგანი — სუფრები, პირსახოცები, თეთრეული, ფარდები, პანოები და გობელენები. ასე რომ, მხატვრული ქარგვა ძალზე საჭირო და საინტერესო საქმეა.

**ნანა ქერეჭაშვილი, მაია კონდუხაშვილი, ნანა ჩაჩუა, დალი თათანაშვილი, თამარ გაბუნია, ქეთევან ზივზივაძე, ეკა სანიკიძე,** წრის წევრები: ძალიან გვიყვარს წრის მეცადინეობა და მერი მასწავლებელი. მან თავიდანვე მიგვაჩვია სისუფთავეს, წესრიგს, გულმოდგინებას. ხშირად ერთსა და იმავე ნაქარგს რამდენჯერმე ვარღვევთ და ხელახლა ვაკეთებთ. მერი მასწავლებელი ს[illegible] გვინერგავს, რომ ქარგვის [illegible]ბას მოთმინება, ნებისყოფა, კირკიტით მუშაობა სჭირდება. დიდი სიხარულითა და ინტერესით დავდივართ აქ და კვლავაც ვივლით.

**მ. ხარტიკოვა:** ვამაყობ, რომ 1976 წლიდან მოყოლებული ყველა კონკურსზე ჩვენი გოგონების ნამუშევრები საპატიო დიპლომებითა და ჯილდოებით აღინიშნება. ჩვენი გაკვეთილები ბევრს ცხოვრების სამომავლო გზის არჩევაში ეხმარება. მაგალითად, მანანა ჯეირანაშვილმა თბილისის 107-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და ამჟამად ბავშვობაშივე არჩეული პროფესიით მუშაობს. ახლახან დავამთავრეთ დიდი რუსი პოეტის ა. პუშკინის ზღაპრის „ოქროს თევზისა და მებადურის" მოქარგვა. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს გვინდა მივუძღვნათ დიდი პანო, რომლის მოსახატავად უხვად გამოვიყენებთ ეროვნულ ორნამენტებს. ვფიქრობთ, მოვაწყოთ „ჩითის კაბების" დღესასწაული, მეჯლისი, რომელზეც გოგონები თავიანთი შეკერილი კაბებით წარდგებიან.

... მართლაც საჭირო და სასიკეთო საქმიანობას ეწევიან 117-ე სკოლის მოსწავლეები და მათი ხელმძღვანელი **მერი ხარტიკოვა.**

გზა დავულოცოთ მათ!

ნ. ფავლენიშვილი







ნორჩების თითოეულ ამ ნამუშევარში ფაქიზი გემოვნება და მხატვრული ალღო იგრძნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რისთვის? რატომ?

ოჯახი პატარა სახელმწიფოა, რომელსაც თავისი ბიუჯეტი, შემოსავალი და გასავალი აქვს. როცა ვამბობთ, ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოსო, ეს ოჯახსაც ეხება. მაგრამ რა ეკონომია-მომჭირნეობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა...

ერთი ნათესავი მყავს, ჩემს მეზობლად ცხოვრობს. წლეულს მისმა ქალიშვილმა საშუალო სკოლა დაამთავრა (აქვე ვიტყვი—არცთუ ბრწყინვალედ). უნდა გენახათ, რა დღეში იყო დედა — მთელი ორი კვირა, დღისით თუ ღამით, „გამოშვების საღამოს კაბის“ ძებნაში იყო! ეძება და იშოვა კიდეც, ქორვაჭრისაგან შეიძინა, სამასი მანეთი მისცა! მაგრამ მთავარი ეს როდია, მთავარი სხვა გახლავთ: ეს მამასისხლად ღირებული კაბა მხოლოდ ბანკეტზე ჩასაცმელად თუ გამოდგება, ისეთი ზიზილ-პიპილებითაა გაწყობილი! მერე კი პატრონი ჩემოდანში ჩაკეცავს და უნდა იდოს ასე უქმად, შეიძლება შვილიშვილსაც კი ვერ ჩააცვას იგი ჩემმა ნათესავმა — ვინ იცის, როგორი იქნება მოდა 10-15 წლის შემდეგ!

მაშასადამე, ოთხი-ხუთი საათის გულისთვის გადაიყარა წყალში სამასი მანეთი!

ეს არის ყაირათიანობა?

ვაი რომ, ჩემი ნათესავი გამონაკლისი არ არის!

ი. ვარდიაშვილი,
დიასახლისი. რუსთავი.

მეორე წელია, რაც თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა სახლში შეიქმნა ნორჩ შემოქმედთა კლუბი „გაზაფხული“ (ხელმძღვანელი — პოეტი ზ. ვაშაკიძე). კლუბი საინტერესოდ მუშაობს. მისი წევრები აქ ეცნობიან კლასიკური და თანამედროვე მწერლობის ნიმუშებს, ხვდებიან სახელმოხვეჭილ ქართველ პოეტებსა და პროზაიკოსებს, უშვებენ კედლის გაზეთს, აქვთ ხელნაწერი ალბომი.

კლუბის რამდენიმე წევრის პირველი სტრიქონები უკვე დაიბეჭდა ჩვენი ჟურნალის გასული წლის ივნისის ნომერში. დღეს კვლავ შევხვდებით ზოგიერთ მათგანს.

## ჩვენი შემოქმედება

### ფიფქები

თოვლი მოდის, არემარე
გადათეთრდა კვლავ,
ისმის ტკბილი ჟრიამული
და ფიფქების ხმა.

ფიფქებს ფიფქი ემატება,
შლის ზამთარი ფრთას,
ახალი წლის განთიადის
მეკვლეები ვართ.

ლია ქიტესაშვილი,
149-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.

მე საქართველოს კალთაში ვზივარ
და როგორც დედას, ვეჩურჩულები:
— შენი ღიმილი გამიზიარე,
ერთად ვიდარდოთ ხანაც მე და შენ,
ჩემო სამშობლოვ, ულამაზესო,
ჩემი ფიქრების ტკბილო ზედაშევ...
მე საქართველოს კალთაში ვზივარ...

თამარ ხარებავა,
149-ე საშუალო
სკოლა, V კლასი.

### ზამთარი სოფელში

შემოდგომა გაფრინდა
ჭრელაჭრულა ფრთებით და
დაუბერა სიცივემ
ახლომახლო მთებიდან.
ლურჯი ორთქლი ველ-მინდვრებს
დაჰფენია ნისლებად.
ატალახდა ქუჩები,
გარეთ არ გაისვლება.

ლელა მამავარიანი,
149-ე საშუალო
სკოლა, IV კლასი.

### ოცნებისფერი გოგონა

ჩემს თბილისს ჩასძინებია,
ბურუსში თბილად წევს.
ერთი პატარა გოგონა
ზის და ოცნებებს წერს.
მთვარეს გაყვება ღიმილით,
ნათელს შეაფრქვევს ცას.
ოცნებისფერი გოგონა
ნეტავ ვისზე წერს რას?

ნანა სოზიაშვილი,
მე-15 საშუალო
სკოლა, X კლასი.

## ღრუბლებთან

### გ. თიკანაძის ხსოვნას

სვანეთი — თეთრი ფიფქების, ყინულოვანი კლდეების სამეფო... მკაცრი კაცების, კაი მოტირალი ქალრძალის, ჯიხვისრქიანი მთვარისა და თეთნულდის თავზე დანთებული მზის სამფლობელო... „ლილეოთი“ ახმიანებული უშბა და შხარა...

ჟრჟოლვით ვიმეორებ უმკაცრეს სიტყვას და... — გურააამ!.. — კლდეებზე იმსხვრევა ექოდქცეული ხმა...

მხვდება სვანეთში უცნობი ჭაბუკი და უხმოდ, ცრემლიანი თვალებით ვეუბნები:

— შენ გგავდა, ბიჭო, გურამი! — თუმცა არასოდეს მინახავს ეს ყინულოვანი მთის სიყვარულად დანთებული ლამაზი ბიჭი...

თეთრ ყინულებში დაიფშვნა იმისი სული, გაიფანტა მონადირეთა ღმერთების სამეფოში და ახლა აქაურობას მისი სული ადგას თავს მნათობად, დარჩენილა ვაჟკაცების სადღეგრძელოდ, სვანეთის დიდებად, შხარის მშვენებად... ახლა ის სვანთა ფიცხ სისხლს შერევია, მისი ხმა „მირანგულას“ შემატებია.

მე კი მოგონება თოვლის გუნდასავით მადნება და ჩამოღვენთილ ცრემლისფერ წვეთებში იხატება თეთნულდი... უშბა... შხარა... გურამი...

იამზე ასანიშვილი,
პიონერთა სახლის ნორჩ
შემოქმედთა წრის წევრი.

აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №8

## წვიმა

წვიმს. ცქრიალებენ, წკრიალებენ პაწაწინა წვეთები.

მერე შეგროვდნენ და ჭადრის ფოთოლზე დასკუპდნენ. მსხვილი წვეთი დამძიმდა, მტვრიან ფოთოლზე დასრიალდა და ზედ სუფთა კვალი დატოვა. მერე ამ სუფთა კვალს მზემ დახედა და აკისკისდა...

იცინის მზე. ისევ წვიმს.

ისევ ცელქობენ და კისკისებენ წვიმის წვეთები.

გავრბივარ გარეთ და ვსველდები წვიმაში.

მზემ მეც დამხედა და იცინის...

ერთი წვიმის წვეთი ჩემს სულშიც ჩასრიალდა, სევდის ბილიკი ჩარეცხა და სუფთა კვალი დატოვა...

მადონა კლერტიაშვილი,
149-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი

## გამოცანა

ლამაზია, კოხტაა
და ელვარებს ათასფრად,
ვინც მიხვდება რა არის,
მიგვყავს თოვლის პაპასთან.

თამარ ეკლესიური,
159-ე საშუალო
სკოლა, V კლასი.

## გოგია და ჯავრია

გოგია ტყეში სოკოს კრეფდა. უცებ ბუჩქიდან ლეკვმა გამოყო თავი.

— ლეკვი! — იყვირა გოგიამ, ხელში აიტაცა და სახლისაკენ მოკურცხლა.

გოგია თავის ლეკვს კარგად უვლიდა. ლეკვი ძალიან მიუკარებელი იყო, სულ იღრინებოდა. გოგიამ მას ჯავრია დაარქვა.

აგვისტო მიიწურა. გოგია ქალაქში უნდა წასულიყო. ჯავრიამ თითქოს იგრძნო ეს და დაღონდა. გოგიას არ შორდებოდა, ფეხებზე ეხვეოდა და წკმუტუნებდა.

გოგია წავიდა.

ჯავრიას თვალებიდან წყვილი ცრემლი ჩამოუგორდა.

## შემოდგომა

ჩვენ სოფელში ვენახი გვაქვს.

შემოდგომაზე პაპამ ყურძენი დაკრიფა, მარანში შეიტანა, დაჭყლიტა და საწნახელს ფიცრები გადააფარა.

მარანში მზის სხივები იფრქვეოდა. კედელზე თავს იწონებდნენ პაპას აჭრილი აკიდოები.

მეორე დღეს ბებომ თათარა მოადუღა, ჩურჩხელები ამოავლო და მზეზე გასაშრობად გაიტანა.

დილით ადრე გავიღვიძე, გარეთ რომ გამოვედი, დავინახე, ჩურჩხელებს თხები შესეოდნენ. ყვირილი მოვრთე. მეზობლის ბიჭები გამოცვივდნენ და თხებს გამოეკიდნენ. მე სიცილით ვიგუდებოდი, როცა ბიჭები თხებს ვერ იჭერდნენ და ყირაზე გადადიოდნენ.

ახლა ზამთარია. მე თბილისში ვარ და ბებიაჩემის გაკეთებულ ჩურჩხელებს შევექცევი. მაგონდება ბიჭების ყირა-ყირა გადასვლა და ტკბილად მეღიმება.

კახაბერ დემურაძე,
159-ე საშუალო
სკოლა, V კლასი.

თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლის დათო ჯაფარიძის ნახატებმა თბილისის სახელმწიფო ცირკში მოწყობილ გამოფენა-კონკურსზე „ცირკი ბავშვის თვალით" პირველი ადგილი დაიკავა. გთავაზობთ ნორჩი მხატვრის რამდენიმე ნამუშევრის რეპროდუქციას (ერთი მათგანი აქვე იბეჭდება, დანარჩენი იხ. გარეკანის მე-4 გვერდზე.).

მოუსვენარი
გიმგო.
8 წლის.

## წერილი ბებიას

მენატრება, ბები,
ჩვენი სოფლის გზები,
მინდვრად გაფანტული
თეთრი გვირილები.
ძლიერ მენატრება
კაწალხევის მთები,
ცაში გაფრენილი
ღრუბლის ქარავნები.

ინგა სამხარაძე,
159-ე საშუალო
სკოლა, V კლასი.

## მუხა

დაბერებულა ჩემი მუხა და
წამოწოლილა ნისლის მკლავებზე.
მისი სიმღერის ხმა სევდიანი
აუტანია ქარს ვარსკვლავებზე...

ინგა დემეტრაშვილი,
149-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.






გურამ პეტრიაშვილი

მხატვარი ეთერ მითაგვარია

ერთხელ ასეთი უცნაურობა დაემართა ქალაქს:

მთელი მოსახლეობა, დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც შადრევანს ხედავდა სიზმრად.

უკვე თვეზე მეტი იყო ასე გრძელდებოდა და ახლა მეტი სალაპარაკო აღარ ჰქონდათ ქალაქში.

იდგნენ მოქალაქენი ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფად, მსჯელობდნენ, კამათობდნენ, გამოთქვამდნენ ათას მოსაზრებას, მაგრამ ის მაინც ვერ გაეგოთ, ან რატომ ესიზმრებოდათ შადრევანი, ან რა უნდა ექნათ, რომ აღარ დასიზმრებოდათ.

ლაპარაკობდნენ დილიდან სალამომდე.

ზოგჯერ კი იტყოდნენ, წავიდეთ, დავაკვირდეთ, იქნებ თვით შადრევანშია საიდუმლოო.

ის შადრევანი ერთ კოხტა სკვერში იყო.

პატარა, მრგვალი აუზის შუაგულში დაბალ კვარცხლბეკზე მარმარილოს ქალიშვილი იდგა და ხელში მარმარილოსავე ქოლგა ეჭირა, რომლის კალთებიდანაც წყალი ჩამოდიოდა.

აუზს ირგვლივ ფარნები ჰქონდა შემოყოლებული.

ღამით ფარნების შუქზე ელავდა ქოლგიდან ჩამოდენილი წყლის ჭავლები და ქოლგის ჩრდილში უფრო ნაღვლიანი ჩანდა ქალიშვილის სახე.

საათობით უყურებდნენ შადრევანს მოქალაქენი. ხან ახლოს მივიდოდნენ, ხან შორიდან შეხედავდნენ, გარს უვლიდნენ და ყოველი მხრიდან აკვირდებოდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერს მიმხვდარიყვნენ.

გაეცლებოდნენ შადრევანს და იმასღა იმედოვნებდნენ, იქნებ ამაღამ მაინც დაგვეხსნას ის სიზმარიო. მაგრამ არ სტოვებდა შადრევანი მათ სიზმრებს...

ოღონდ ეს კია, რომ მხოლოდ მოსახლეობის ნაწილს აწუხებდა ეს სიზმრები.

ბავშვებსაც და ბევრ დიდსაც ძალიან მოსწონდათ შადრევნიანი სიზმარი.

კარგად რომ გავარკვიოთ, ვის მოსწონდა სიზმრად შადრევნის ნახვა და ვის — არა, ამისათვის ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ საერთოდ სიზმრებზე და სიზმრისმხილველებზე.

ერთნი კეთილი, ლაღი და ლამაზი ოცნებების მქონენი არიან და სიზმრადაც იმ ოცნებების ახდენას ხედავენ ხოლმე.

მათ ეხმარებათ სიზმრები, რადგან უფრო ადვილია ცხადი გახადო ოცნება, რომელსაც უკვე ასრულებულს ნახავ სიზმარში.

მეორეთა სიზმრები კი მხოლოდ და მხოლოდ გაგრძელებაა მათი კმაყოფილი, ნებიერი ცხოვრებისა.

მარტო თავის ჯანმრთელობაზე შეყვარებულები ცხადშიც მუცელზე იტყაპუნებენ ხელებს და სიზმარშიც ამასვე სჩადიან.

თუ სიმართლე გინდათ, ასეთ სიზმრებს არც შეიძლება სიზმარი ერქვას და ვერც ამ ხალხს დავუძახებთ სიზმრისმხილველებს.

სწორედ ასეთებს აწუხებდათ სიზმრად შადრევნის ნახვა, აწუხებდათ იმიტომ, რომ ოცნება არ შეუძლიათ.

მათი სიზმრები სულ ერთნაირი იყო: იდგა მარმარილოს ქალიშვილი, ხელში მარმარილოსავე ქოლგა ეჭირა, რომლის კალთებიდანაც აუზში წყალი ჩადიოდა...

იდგა და იდგა ქვის ქალიშვილი.

ჩამოდიოდა და ჩამოდიოდა წყალი...

და სწორედ წყლის განუწყვეტელმა ჩხრიალმა გააბეზრა ცრუ სიზმრისმხილველები.

ნამდვილ სიზმრისმხილველთა სიზმრებში კი მარმარილოს ქალიშვილი ცოცხლდებოდა და მშვენიერი ამბების მთავარი მონაწილე ხდებოდა.

ბავშვები სიზმრად ხედავდნენ, როგორ დაჰყავდა ისინი ქალიშვილს ქალაქის ხეივნებში ან მაღალი მთის წვეროდან როგორ აჩვენებდა მზის ამოსვლას.

ქალიშვილი ქოლგიანი იყო ყველა სიზმარში და ქოლგა ხან ნაირ-ნაირად იცვლიდა ფერს, ხან უცებ ვეება ხდებოდა და ავდრისაგან იფარავდა მთელ ქალაქს. ხან კი მღელვარე ზღვის თავზე მიაფრენდა ბავშვებს და ქალიშვილის წელზე ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოხვეულებს აღარაფრის ეშინოდათ. ქალიშვილთან ერთად ქოლგის ქვეშ შეყუჟულებს ახარებდათ, რომ ირგვლივ უკიდეგანო დათოვლილი ველი იყო, აქ კი მიწის პაწია მრგვალ ნაჭერზე ყვავილები გაფურჩქნილიყო...

დიდების სიზმრებში ქალიშვილი ხან ბაღში დადიოდა და ქოლგაზე რაღაც საოცრებით დარჩენილ წვიმას ნერგებს ასხურებდა, ხან ფუნჯი ეჭირა ხელში და მის ნახატში, როგორც სარკეში, ისე ხედავდნენ საკუთარ თავს, ხან კი იდგა სცენაზე და მღეროდა, ხოლო სიმღერის ბოლოს აფრინდებოდა და მეწამული ღრუბლებისაკენ გაფრენილი იან გაიყოლებდა ყველას.

შეუყვარდათ შადრევნის ქალიშვილი დიდებსაც და პატარებსაც.

ეს სიზმრები მშვენიერ სევდას ტოვებდა მათ გულში და ჩაფიქრებულებს კეთილი შუქი ედგათ თვალებში...

თავს არ უტყდებოდნენ, თორემ ცრუსიზმრისმხილველებს სწორედ ის არ მოსწონდათ, რომ სიზმარი სევდას ტოვებდა მათშიც. თუმცა თქმით მარტო იმას ამბობდნენ: თავს გვაბეზრებს ეს უცვლელი და მოსაწყენხმაურიანი სიზმარიო.

და ერთ დღეს რომელიღაც მათგანმა თქვა: შადრევანი უნდა დავანგრიოთ და სიზმარიც თავს დაგვანებებსო.

ეს ნათქვამი ხელად გავრცელდა ქალაქში.

იშოვეს ცრუ სიზმრისმხილველმა კაცებმა და ქალებმა რკინის კეტები და მუქარით წავიდნენ შადრევანისკენ.

ნამდვილი სიზმრისმხილველები კი გარს შემოერტყნენ შადრევანს და უთხრეს, ამის დანგრევას ცოცხალი თავით არ დაგანებებთო.

ვინ იცის როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, შეტაკებამდე რომ მისულიყო საქმე.

ერთი კია, ნამდვილი სიზმრისმხილველები ვერ გაიმარჯვებდნენ — ბავშვებს ხომ არ ჩარევდნენ ჩხუბში და დიდებში კი ცრუ სიზმრისმხილველები ნამდვილზე გაცილებით მეტი აღმოჩნდნენ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, განა ხშირად გინახავთ, რომ მეოცნებე სიზმრისმხილველს ჩხუბი ეხერხებოდეს?

ის-ის იყო კეტების ტრიალი უნდა დაწყებულიყო, რომ ხმამაღალმა შეძახილებმა შადრევნის შორიახლო სკამზე ჩაფიქრებული კაცი გამოაფხიზლა.

ეს კაცი ადრეც იქ იჯდა ხოლმე, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას.

ჩვეულებრივი შლაპიანი და სათვალიანი კაცი იყო.

რკინის კეტებით შეიარაღებული ხალხი რომ დაინახა, კაცი მიხვდა, რასაც აპირებდნენ.

ადგა და დაიძახა ხმამაღლა:

— მოიცათ, ხალხო, მოიცათ, რას შვრებით!

— შადრევანი უნდა დავანგრიოთ! — უპასუხა ერთმა და დიდი რკინის კეტი შემართა ჰაერში.

— განა რა დაგიშავათ შადრევანმა? — ჰკითხა კაცმა.

— მეტი რაღა უნდა დაგვიშავოს, ლამის თავი მოგვაკლევინოს, ისე მოგვბეზრდა მაგის ჩხრიალი, — უთხრა რკინისკეტიანმა და უცებ გაბრაზდა: — შენ ვინა ხარ, რომ რაღაცებს გვეკითხები?!

— მე ვიცი, რომ შადრევანი არაფერ შუაშია. ნუ დაანგრევთ. წადით სახლში და აღარ ნახავთ მაგ სიზმარს, — უთხრა კაცმა.

— შენ რა იცი, ჩვენ რას ვნახავთ სიზმრად, მოშორდი აქედან, ვიდრე ამ შადრევნისთვის შენც არ მიგვიყოლებიხარ! — უთხრეს კაცს, შებრუნდნენ და შეუტიეს შადრევნის დამცველებს, მიგვიშვით, თორემ თავებს გაგიტეხავთო.

მაშინ იმ კაცმა ჩაილაპარაკა: რა ვქნა, სხვა გზა აღარააო, და დაიძახა:

— გაჩერდით, გეტყვით ყველაფერს, მე მესიზმრე ვარ!

— რაო, რაო, რა ხარ? — ვერ გაიგეს კეტიანებმა.

— მესიზმრე ვარ, მე გიგზავნით სიზმრებს.

— ნუ სულელობ, რა მესიზმრე, რის მესიზმრე — თქვა ცოტა შეეჭვებულმა დიდკეტიანმა.

— არა გჯერათ? მაშ საიდან ვიცი, რომ შენ ათ კილო [illegible] ჭამ ხოლმე სიზმარში, აგერ ის კი სიზმარშიც გულაღმა წევს და თავის ფულს ანგარიშობს, — უთხრა კაცმა. დიდკეტიანმა და მეორემაც თვალები დააჭყიტეს და უნებლიეთ ჩაიბუტბუტეს, მართალიაო.

— მესიზმრე ყოფილა, მართლა მესიზმრე ყოფილა, — აჩურჩულდა ხალხი.

— წადით, ამაღამ ყველა კვლავ თავის სიზმარს ნახავს, — წყნარად მიმართა ხალხს მესიზმრემ.

— კარგი, ახლა წავალთ, მაგრამ თუ გვატყუებ და ამაღამ კიდევ გვესიზმრა ეს შადრევანი, ვაი შენი ბრალი! — დაემუქრა დიდკეტიანი და თავისიანებს მიუბრუნდა, დროებით დავიშალოთო.

კეტიანები სწრაფად წავიდ-წამოვიდნენ, ჩვენი სიზმრებიც არ გაამხილოსო.

ნამდვილი სიზმრისმხილველები კი გარს შემოეხვივნენ მესიზმრეს, ხელს ართმევდნენ და მადლობას უხდიდნენ სიზმრისათვის.

— ტყუილად მიხდით მადლობას. მე მხოლოდ სიზმრის დასაწყისს გიგზავნით, რომელსაც თქვენი ცხოვრებისა და ოცნებების შესაფერისად ვარჩევ. ასე რომ, კარგ სიზმრებს ისევ თქვენ თავს უნდა უმადლოდეთ, — ამბობდა მესიზმრე ღიმილით.

მას შემდეგ ყველას მათ კუთვნილ სიზმრებს უგზავნიდა მესიზმრე.

ცრუ სიზმრისმხილველებს აღარ აბეზრებდათ თავს შადრევნის ჩხრიალი, ნამდვილ სიზმრისმხილველთა სიზმრებში კი კვლავაც ხშირად ცოცხლდებოდა ქოლგიანი ქალიშვილი. ასეა: ერთგულნი არიან მეოცნებენი, აღარ ივიწყებენ, ერთხელ ვინც ჩაუვარდებათ გულში...

ახლა ალბათ იკითხავთ, მაშ მესიზმრე რატომ მაინცდამაინც შადრევანს ასიზმრებდა მთელ ქალაქსო.

აი, როგორ მოხდა ყველაფერი.

თუმცა ეს შადრევანი მანამდეც ბევრჯერ ენახა, მესიზმრე ერთხელ დააკვირდა მას.



ასე ყველას შეიძლება დაგვემართოს — მთელი სიცოცხლე ვუცქიროთ რაღაცას, მაგრამ ვერა ვხედავდეთ.

მესიზმრეს მეტად მგრძნობიარე გული ჰქონდა და შადრევნის ქალიშვილის ნაღვლიანმა სახემ და ქოლგაზე ცრემლის ნაკადებივით ჩამომდინარმა ჭავლებმა აგრძნობინა, რომ რაღაც მეტად სევდიანი ამბები უნდა მომხდარიყო, ვიდრე მოქანდაკე მარმარილოს ლოდიდან ამ ქალიშვილს გამოაქანდაკებდა...

მიდიოდა მესიზმრე შადრევანთან, იჯდა მთელი დღე და უცქეროდა.

სევდით ევსებოდა გული.

და რა გასაკვირია, თუ ღამით უნებლიეთ იმ ქალიშვილის სახებას უგზავნიდა ყველას...

ხოლო მას შემდეგ, რაც ხალხს დაჰპირდა, ყველას თქვენს კუთვნილ სიზმარს გამოგიგზავნითო, აღარც მიდიოდა შადრევანთან, [illegible] ძალიან მიუწევდა იქით [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშინოდა, შემთხვევით ისევ შადრევანი არ დავასიზმრო იმათ, არ გაბრაზდნენ და ისევ კეტებს არ მოჰკიდონ ხელიო.

ცდილობდა სულაც დაევიწყებინა შადრევანი. მაგრამ დიდი წვიმები რომ დაიწყებოდა, მესიზმრის გულსა და გონებას კვლავ ეუფლებოდა შადრევნის ქალიშვილის ნაღვლიანი სახე და სიზმარში კვლავ ხედავდნენ შადრევანს მოქალაქენი.

დილით, რომ მოაგონდებოდა, ვის რა სიზმარი გავუგზავნეო, მესიზმრე შუბლში შემოირტყამდა ხელს, ეს რა ვქენი, ისევ არ გაბრაზდნენ, შადრევანი არ დაანგრიონო.

შეუთვლიდა, უნებურად მომივიდა, მაპატიეთო.

ისინი კი შემოუთვლიდნენ, არა უშავსო.

რატომ არ ბრაზდებოდნენ?

შეიძლება იმიტომ, რომ შადრევნის ჩხრიალის იშვიათად მოსმენა მათ მაინცდამაინც არ ეძნელებოდათ?!

თუ ჯერ თვითონაც ვერ მიმხვდარიყვნენ, მაგრამ უკვე ნამდვილ სიზმრისმხილველად გახდომას ნატრობდა მათი გული?..

ახლა კი უნდა გითხრათ, რომ, თუმცა კეტი აღარავის აუღია და აღარც აყალმაყალი გამართულა, მესიზმრეს ეძნელებოდა ქალაქში ყოფნა.

რატომ?

ნუთუ ქალაქი აღარ მოსწონდა? ან იქნებ კარგად არ ექცეოდნენ?

არა, საერთოდ ძნელია ქალაქში მესიზმრის ყოფნა, როცა დარღვეულია მესიზმრეთა ცხოვრების მთავარი წესი:

არავინ არ უნდა იცოდეს, ვინ უგზავნით მათ სიზმრებს.

ეს იმიტომაა საჭირო, რომ მესიზმრეს შეეძლოს იყოს მარტო და მშვიდად და წყნარად აკეთოს თავისი საქმე.

ახლა კი რა ხდებოდა?

ქუჩაში დედები ბავშვებს აჩვენებდნენ, ეს ძია, სიზმრებს რომ გიგზავნითო, და ავტოგრაფებს ართმევდნენ მესიზმრეს.

პოეტები მასზე ლექსების წრეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მერე მიდიოდნენ და უკითხავდნენ.

მხატვრები სთხოვდნენ, თქვენი პორტრეტი გვინდა დავხატოთო, თუ შეიძლება რამდენიმე საათით ან ასე დაბრძანდით, ან ასე გაგვიჩერდითო.

რადიოთი ვიღაც-ვიღაცები გამოდიოდნენ და მესიზმრეზე ამბებს ყვებოდნენ, ზოგს მართალს და ბევრს ტყუილს.

კინოს ხალხი ფარული კამერით უსაფრდებოდა ყოველ ნაბიჯზე და მერე ტელევიზიით აჩვენებდნენ, როგორ დადიოდა მესიზმრე ქუჩაში, სათვალეს როგორ იკეთებდა, ქუდს როგორ იხდიდა, როგორ იღიმებოდა, ცხვირს როგორ აცემინებდა...

საღამოობით მესიზმრის სახლის წინ თამამი ქალიშვილები დასეირნობდნენ წყნარი სიმღერით:

ქალაქშია კოხტა სახლი,
იქა ცხოვრობს მესიზმრე.
რად მინდოდა ის სიზმარი,
თვითონ რად არ მესიზმრე?

მიწყდებოდა ქალიშვილების სიცილ-კისკისი და რამდენიმე კაცი მაინც მოადგებოდა მესიზმრის კარს, თუ ძმა ხარ, შენს პატივსაცემად სუფრას ვშლით და წიხლი არ გვიკრა, გვეწვიეო.

რამდენჯერმე გვიან ღამით მოსულმა ხალხმა ქრთამიც კი შეაძლია, ასეთი და ასეთი სიზმარი გვინდა ვნახოთო...

როგორც ვთქვით, ყველაფერი ეს მესიზმრეს ხელს უშლიდა, მშვიდად ეკეთებინა თავისი საქმე. მაგრამ ის მაინც არა ბრაზობდა.

რადგან ისე მოხდა, რომ ჩემი საიდუმლო გამჟღავნდა, მაგათი რა ბრალია, რა ქნან, ადამიანები არიან, ადამიანებს კი ათასი სისუსტე აქვთო, — ფიქრობდა ღიმილით. ეს ნიშნავდა, რომ მესიზმრეს ძალიან უყვარდა ადამიანები.

ის არც იმაზე ბრაზობდა, რომ ზოგი მოქალაქე ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა როგორმე გაეგო, როგორ ხვდებოდა მესიზმრე ადამიანების ფიქრებსა და ოცნებებს და როგორ უგზავნიდა სიზმრებს.

ესენი რატომღაც ფიქრობდნენ, უთუოდ რაღაც მანქანებით აკეთებს ყველაფერსო.

რამდენჯერმე მთელი ბინა არეულ-დარეული დახვდა მესიზმრეს. ეტყობა, იმ ხელსაწყოებს ეძებდა ვიღაც.

ერთხელ სათვალეც კი მოიპარეს, ალბათ ფიქრობდნენ, განსაკუთრებული მინები უზის და ყველაფერს იმით ხედავსო...

მესიზმრეს ყველაფერზე ნაღვლიანად ეღიმებოდა...

იგი მაშინვე წავიდოდა ქალაქიდან, როგორც კი მისი მესიზმრეობა გამჟღავნდა, მაგრამ ერთი საქმე აკავებდა...

ერთხელ კი განთიადისას ერთმა მეეზოვემ ქუჩაში სამგზავროდ გამოწყობილი მესიზმრე დაინახა.

მეეზოვეს რაღაც უგრძნო გულმა და მიაძახა:

— ჰეი, მესიზმრევ, ხომ არ მიდიხარ და უსიზმროდ ხომ არა გვტოვებო?

— მივდივარ, მაგრამ ნუ გეშინიათ, სიზმრებს კვლავაც ნახავთო, — დაამშვიდა მესიზმრემ.

— მაშ, ნახვამდისო, — უთხრა მეეზოვემ.



— მშვიდობით, — ჩამოართვა მესიზმრემ ხელი.

და მართლაც არ დარჩენილა ქალაქი უსიზმრებოდ.

მესიზმრეს სწორედ ის აკავებდა ქალაქში, რომ ირჩევდა, ვისთვის გადაეცა თავისი ხელობა...

ყოველთვის ჰყავს ქალაქს მესიზმრე.

და არავინ იცის, მისი ვინაობა.

შემდეგ ის კაცი სხვას გადასცემს თავის ხელობას, ის სხვა კიდევ სხვას... და ასე შემდეგ.

საიდუმლოდ ინახავენ თავის საქმეს მესიზმრეები და ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიგებთ მესიზმრეთა საიდუმლოს, თუ როდესმე აგვირჩევს მესიზმრე თავის მემკვიდრედ.

მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ თავის მემკვიდრედ აგვირჩიოს, როგორები უნდა ვიყოთ?

არ ვიცი სხვა კიდევ რა არის საჭირო, მაგრამ ერთი, ვფიქრობთ, აუცილებელია:

ძალიან უნდა გიყვარდეს ადამიანები.

ყოველთვის ჰყავს ქალაქს მესიზმრე.

და ყველა ხედავს თავის კუთვნილ სიზმარს.

მაგრამ ხანდახან კვლავაც თვეობით აეკვიატებათ ხოლმე მოქალაქეებს ერთი და იგივე სიზმარი.

და ყოველდღე ხედავენ ქვაფენილზე დაცემულ ფოთოლს, ან საკომისიო მაღაზიაში ჩამოკიდებულ ძველ პალტოს, სადღაც მარტოდ მდგარ ხეს ან დახოცილ ჩიტებს...

ბევრს ეს არ მოსწონს, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველთვის ნაღვლიანია მუდმივი სიზმარი.

მაგრამ ამას არაფერი ეშველება, რადგან ეს ნაღვლიანი სიზმარი იმას ნიშნავს, რომ კვლავ ნაღვლობს მესიზმრე, ხოლო თუ ის არაფერზე დანაღვლიანდება, მესიზმრეც ვეღარ იქნება.

არ ეშველება ამას არაფერი და იქნებ არც უნდა ეშველოს.

თუ კარგად დავფიქრდებით, იქნებ ძალიანაც საჭიროა, რომ ხანდახან მაინც ყველამ ერთად ნაღვლიანი სიზმარი ვნახოთ!..



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭვავის სამი თავთავი



ზაქარიას ტოპელიუსი

მხატვარი
ზაურ დეისაძე

ფინური ზღაპარი

ეს ამბავი ახალი წლის წინა დღეებში დაიწყო.

ერთ სოფელში, რომელიც ტბის პირას მდებარეობდა, ცხოვრობდა მდიდარი გლეხი, სახლი გამორჩეულ ადგილას ედგა და ეზოში, ყრუ ჭიშკრის იქით ყველაფერი ჰქონდა: — ბეღლები, ფარდულები და სხვა სამეურნეო ნაგებობები.

ტბის გადაღმა, ტყის პირას კი პატარა, ღარიბული ქოხი იყო მიკუნჭული და მის არემარეში ქარებიც კი საკბილოს ვერაფერს პოულობდნენ.

სუსხიანი დღე იდგა.

ხეები ყინვისაგან სკდებოდა და ტბის თავზე თოვლის ღრუბლები გროვდებოდა.

— მოდი, სამიოდე თავთავი ჭვავი მაინც შემოვდოთ სახურავზე ბეღურებისათვის, მადლია, — უთხრა ცოლმა მდიდარს. — თან ახალი წელი მოდის და ამბობენ, რომ ეს ბედნიერებას მოგვიტანს.

— არც ისეთი მდიდარი ვარ, ამდენი მარცვალი ტყუილუბრალოდ გადავყაროთ, — უკმეხად მიუგო ქმარმა.

მაგრამ ქალი არ ცხრებოდა:

— ალბათ, ის კაცი, გაღმა ნაპირზე რომ ცხოვრობს, იმიტომ გაღარიბდა, რომ ახალი წლის ღამეს ბეღურები დაივიწყა. შენ ხომ ათჯერ უფრო მეტ მარცვალს თესავ, ვიდრე ისა, იქნებ ჩიტუნებისთვის ცოტა რამ გაგვემეტებინა.

— ხმა ჩაიკმინდე, — უყვირა მოხუცმა, — ისედაც ბევრს ვაპურებ. ამას დამიხედე, რა მოიგონა, — გაგონილა მარცვლის გადაყრა?!

— ეს ხომ ჩვეულებაა, — ამოიოხრა დედაბერმა.

— იცი, რას გეტყვი, — შეაწყვეტინა მოხუცმა, — შენ შენს საქმეს მიხედე, ბეღურები უშენოდაც კარგად გაძლებენ.

ორიოდე დღეში, მდიდარი გლეხის სახლში საახალწლო სამზადისი დაიწყო: აცხობდნენ, წვავდნენ, შუშავდნენ, ხარშავდნენ. ჯამებისა და ლანგრების სიმძიმისაგან მაგიდა იზნიქებოდა; მარტო მშიერი ბეღურების წილად არ იყო არაფერი. ისინი კვლავ საცოდავად დახტოდნენ სახურავზე. ეძებდნენ, ეძებდნენ, მაგრამ არათუ მარცვალი, პურის ფიჩხიც კი ვერსად ეპოვნათ.

ტბის გადაღმა, ღარიბულ ქოხში კი თითქოს დავიწყებოდათ ახალი წლის მოახლოება. არც მაგიდაზე ეწყო სანოვაგე და ღუმელიც ცარიელი იყო. სამაგიეროდ სახურავზე ბეღურებს უკვე ელოდათ საჩუქარი — მწიფე ჭვავის სამი თავთავი.

— ეს სამი თავთავი ჩვენთვის რომ გაგველეწა, ახლა ნამდვილი ზეიმი გვექნებოდა. რა ხაჭაპურებს დავაცხობდი! — ამოიოხრა ღარიბი გლეხის ცოლმა.

— რა ხაჭაპურებზე ლაპარაკობ, ქალო, — გაეცინა გლეხკაცს. — ნეტავ ვიცოდე, რამდენ მარცვალს მოგცემდა ამ სამიოდე ღერი თავთავის გალეწვა? ბეღურებს თუ ეყოთ, ისიც კარგია.

— მართალია, — დაეთანხმა ცოლი, — მაგრამ მაინც...

— ნუ ბუზღუნებ, დედაკაცო, — შეაწყვეტინა გლეხმა. — ცოტა ფული ხომ გადავინახეთ ახალი წლისათვის?! ჰოდა, ბალღები სოფელში გაგზავნე ახალი პურისა და ერთი ქოთანი რძისათვის, რომ ჩვენც ბეღურებივით ვიზეიმოთ!

— მეშინია, როგორ გავგზავნო, — თქვა დედამ, — გვიანია უკვე, ვინ იცის, მგლებიც დაძრწიან.

— არაფერია, — მიუგო მამამ, — იუჰანს მაგარ კეტს მივცემ ხელში და ვერც ერთი მგელი ველარ შემობედავს.

ცოტა ხნის შემდეგ პატარა იუჰანი თავის დაიკო ნილასთან ერთად მარხილით ტბის იქითა სოფელში გაემგზავრა. ბავშვებმა თან წაიღეს ერთი ტომსიკა პურისათვის, ერთი ქოთანი რძისათვის და, რა თქმა უნდა, ერთიც მაგარი კეტი.

უკან რომ გამობრუნდნენ, ის-ის იყო ბინდბუნდი წვებოდა. ქარბუქმა ნამქერი უხვად მიაყარა ტბას. იუჰანი და ნილა გაჭირვებით მიათრევდნენ მარხილს, ხშირად ღრმა თოვლშიც ეფლობოდნენ. თოვლი კი მოდიოდა და მოდიოდა, ნამქერიც იზრდებოდა, თანაც ბინდიც მოეძალა ცას, სახლამდე კი ჯერ კიდევ შორი იყო.

უცებ მათ წინ სიბნელეში რაღაც ამოძრავდა. ვერ იტყოდი, კაციაო, მაგრამ არც ძაღლს ჰგავდა. მერე გა-

მოჩნდა — ეს მგელი იყო, ვეება და ძალიან გამხდარი.

ხედავენ — ხახა დაუღია, დგას გზის გარდიგარდმო და ყმუის.

— ახლავე გადავდენი, — თქვა იუჰანმა და კეტი მოუქნია.

მაგრამ მგელს ფეხიც არ მოუცვლია. ეტყობოდა, კეტისა სულაც არ ეშინოდა, მაგრამ არც ბავშვებს უტევდა: მერე უფრო საწყალობლად აყმუვლდა, თითქოს რაღაცას ითხოვსო: ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ბავშვებმა თითქოს გაიგეს მისი ჩივილი.

— უ-უ-უ, რა სუსხია, რა საშინლად ყინავს, — მოთქვამდა მგელი,— ჩემს ლეკვებს კი საჭმელი არა აქვთ! შიმშილისაგან იქნებ სულიც ამოსძვრეთ!

— საცოდავი ლეკვები, — შეიცოდა ნილამ, — მაგრამ ჩვენც რომ არა გვაბადია, რა! აჰა, გამოგვართვი პურის ორი კვერი, ჩვენც ორი დაგვრჩება.

ბავშვებმა კვლავ მაგრად მოუკრეს თავი ტომსიკას და გზა განაგრძეს. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ზურგს უკან მძიმე ნაბიჯების ხმა შემოესმათ. მოიხედეს და ბომბორა დათვი დაინახეს. ბავშვებმა უცებ ვერ გაიგეს, რას ბურტყუნებდა ნადირი.

— რ-რ-რა საშ-შ-შინელი ყინ-ვა-ა, — მოთქვამდა დათვი, — ყველა ნაკადული და მდინარე გაყინა.

— მერე რას დახეტიალობ? — შეუწყრა იუჰანი, — დაგეძინა შენს ბუნაგში, როგორც სხვა დათვებსა სძინავთ, და ფერად სიზმრებს ნახავდი!

— რა დამაძინებს, როცა ჩემი ბელები ტირიან და წყალსა მთხოვენ. ნაკადულები და მდინარე კი გაიყინა. რით მოვუკლა შვილებს წყურვილი, რა მეშველება?

— რა გადარდებს?! — ჩვენ გიზიარებთ ცოტა რძეს. მოიტა შენი ვედრო!

დათვმა მიწაზე დადგა არყის ხის ქერქისაგან გაკეთებული ვედრო, რომელიც აქამდე თათებით ჰქონდა ჩაბღუჯული და ბავშვებმა შიგ ნახევარი ქოთანი რძე გადაუსხეს.

— კეთილო ბავშვებო, — თბილად ჩაიდუდღუნა დათვმა და გზას გაუდგა. იუჰანმა და ნილამაც გზა განაგრძეს. მარხილი, რაკი ტვირთი შეუმსუბუქდათ — უფრო სწრაფად მისრიალებდა და ბავშვებს სიამოვნებდათ, რომ ამ წყვდიადსა და ქარბუქში თავიანთი ქოხის განათებულ სარკმლებს შორიდან მაინც ხედავდნენ.

უცებ და-ძმას თავს ზემოდან უცნაური ხმაური მოესმათ. არც ქარის ხმასა ჰგავდა და არც ქარბუქისას. იუჰანმა და ნილამ მაღლა აიხედეს და უშნო ბუ დაინახეს, იგი დიდი გაჭირვებით ცდილობდა, დაწეოდა ბავშვებს.

— მომეცით პური! მომეცით რძე! — დაიყვირა მან და შეეცადა ტომსიკისათვის ჰანგებიც გამოედო.

— არ მოგცემ, — იუჰანმა ბუს კეტი მოუქნია და შავი ბუმბული ბუღივით აადინა.

შერცხვენილი და შეშინებული ბუ რომ დაეხსნათ, სახლსაც მშვიდობიანად მიაღწიეს. ტანსაცმლიდან [illegible]ლი ჩამოიფერთხეს, მარხ[illegible]ფანში დააბინავეს და ქოხში შევიდნენ.

— როგორც იქნა, სიხარულით აღმოხდა დედას, — რა არ ვიფიქრე. მგელიც კი მომელანდა...

— მგელს მართლაც შევხვდით, — უპასუხა იუჰანმა, მაგრამ მას ავი რამ გულშიაც არ გაუვლია. ცოტა პურიც მივეცით.

— დათვსაც შევხვდით, — განაგრძო ნილამ, — კიდევაც დავუმეგობრდით. რძეც მივეცით თავისი ბელებისათვის.

— შინ თუ მოიტანეთ რამე? თუ ყველაფერი სხვას უწილადეთ? — გაიღიმა დედამ.

— ბუც შეგვხვდა! სანოვაგის წართმევა დაგვიპირა, და ჩვენც კეტი ვუთავაზეთ, — გაიცინეს ბავშვებმა.

— ისე რომ, ორი კვერი და ნახევარი ქოთანი რძე შინაც მოვიტანეთ და ნამდვილი ლხინი ჩვენც გვექნება!



ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაღამე რომ მოახლოვდა და ოჯახის წევრები მაგიდას შემოუსხდნენ, მამამ კვერის დაჭრა დაიწყო, ხოლო დედამ ჯამებში რძე ჩამოასხა. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ რამდენიც არ უნდა მიერთმიათ, პურიც მთელი რჩებოდა და რძეც არ ილეოდა ქოთანში.

— რა სასწაულია?! — უკვირდათ დედასა და მამას.

— ხედავთ, რამდენი ვიყიდეთ! — უხაროდათ იუჰანსა და ნილას, და დედას რძისა და პურის დამატებას თხოვდნენ.

ზუსტად შუაღამისას კი, როცა საათმა თორმეტჯერ დარეკა, კარზე ფხაჭუნი მოესმათ.

იცით, ვინ იყვნენ მათი სტუმრები? მგელი და დათვი. წინა თათები ფანჯრის რაფაზე ჩამოეწყოთ, იღიმებოდნენ და თავებს ისე ხრიდნენ, თითქოს ქოხის ბინადრებს ესალმებიანო.

დილაადრიან, როცა ბავშვებმა მაგიდასთან მიირბინეს, ორი ახალი პურის კვერი და ნახევარი ქოთანი რძე ხელუხლებლად იდგა. და ასე იყო ყოველ დილით.

დადგა გაზაფხული. ბელურების მხიარულმა ქღურტულმა თითქოს სულ გლეხის ყანაში მოზიდა მზის მხურვალე სხივები და მოსავალიც იმდენი მოვიდა, რომ არავის არ ენახა იმ არემარეში. სიკეთე დაებედათ — რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდათ ხელი გლეხსა და მის ცოლს, ყველაფერი ადვილად და კარგად გამოსდიოდათ.

მდიდარი გლეხის მეურნეობას კი თანდათან შემოაკლდა ბარაქა. მზე მისი ყანისკენ არც იხედებოდა და ბეღელიც მალე დაუცარიელდა.

— ქონებას აქეთ-იქით ვფანტავთო, — ბუზღუნებდა მდიდარი. — იმას ეს მიეცი, ამას ის ათხოვე. და მადლიერი მაინც არავინ გვყავს. არა, დედაკაცო, არც ისეთი მდიდრები ვართ, სხვებზე რომ ვიზრუნოთ. აქეთ-იქით არც ერთი მათხოვარი შინ არ შემოუშვაო!

ცოლმა ყურად იღო ქმრის სიტყვა. მაგრამ ოჯახის დოვლათი მაინც მცირდებოდა.

— ალბათ, ბევრსა ვჭამთო, — წამოსცდა მოხუცს. ბრძანა, დღეში მხოლოდ ერთხელ ეჭამათ.

შიმშილობდნენ, შემოსავალი კი არსაიდან ჩანდა.

— ეტყობა, მაინც მაძღრისადა ვჭამთ, — თქვა მოხუცმა, — მოდი, დედაკაცო, ტბის გაღმა მოსახლესთან გადადი, გაიგე, სადილს როგორ აკეთებენ, ამბობენ, პურს ნაძვის გირჩებს უმატებენ, წვნიანს კი წითელი მოცვის ფოთლებისაგან ხარშავენო.



— კეთილი, წავალო, — დაუჯერა ცოლმა და იმავე დღეს [illegible] ესტუმრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ჰქენი, გაიგე რამეო? — ჰკითხა ქმარმა.

— გავიგეო — მიუგო ცოლმა, — პურს თურმე არაფერსაც არ უმატებენო.

— თუ გაგიმასპინძლდნენ, იქნებ განჯინაში აქვთ გამოკეტილი პურებიო?

— არაფერიც — უპასუხა ცოლმა. — ყველა მისულს უხვად მასპინძლობენ, პურის ყუას მაწანწალა ძაღლსაც კი არ აყვედრიან. კეთილი ხალხია, იმიტომაც აქვთ ყველაფერიო.

— საკვირველია, — თქვა მოხუცმა, — არსად გამიგია, რომ კაცი სხვებს ეხმარებოდეს და თვითონ მდიდრდებოდეს. ჯანდაბას, აიღე პურის მთელი კვერი და დიდ გზაზე მათხოვრებს მიეცი. თან უთხარი, რაც შეიძლება შორს გადაიკარგონ ჩვენი არემარედანო.

— ეს არ გვიშველის, — მიუგო ცოლმა, — კეთილი გულით უნდა გავცეთ ყველაფერიო.

— ოჰო, —გაბრაზდა მოხუცი. — მუქთადაც მივცე და კეთილი გულითაცაო!? მაშ კარგი, კეთილი გულით მიეცი, ოღონდ, სამაგიეროდ, ცოტა მეურნეობაში წაგვეხმარონ; არც ისეთი მდიდრები ვართ, აქეთ-იქით ვფანტოთ ქონებაო.

ცოლი კი თავისაზე იდგა — თუკი გავცემთ, ალალად უნდა გავცეთო.

— რა უბედურებაა, — ჯავრობდა მოხუცი, — შენი ქონება სხვებს რად უნდა აჩუქოო?!

ცოლი კი არწმუნებდა, — მხოლოდ სუფთა გულით უნდა გავცეთო.

— საოცარი ამბავია, — უკვირდა მოხუცს და იჭვნეულად აქნევდა თავს. მერე ამოიოხრა:

— მომისმინე, დედაკაცო, კალოზე რომ ჰვავის რამდენიმე გაულეწავი ძნა დარჩა, იქიდან სამი თავთავი მაინც გადაინახე ახალი წლისათვის. სიკეთეს ქმნა ისევ ბეღურებიდან დავიწყოთო.

თარგმნა
დარეჯან გოჩალეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოდარ შამანაძე

### შრომის მადლი

ამ ყანას და იმ ზვარს,
მზის ნაყოფს რომ ისხამს,
იმ მთასა და ამ ბარს,
დილის ცვარით ნაბანს,
ამ გორას და იმ ხევს,
მთვარის შუქს რომ იხვევს,
იმ იალაღს მაღალს,
ცხვრის ფარა რომ ფარავს,
ეზოებში ნახირს
და უთვალავ ფრთოსანს
გამრჯე გლეხიკაცის
შრომის მადლი მოსავს.



### პური

ვსადილობდით, სუფრაზე
პურს გვიჭრიდა დეიდა,
ერთი პურის ნაჭერი
გაუვარდა ხელიდან.
პაპა ხელჯოხს დაეყრდნო,
აიღო და აკოცა,
გამიკვირდა ძალიან
და ლეილაც გაოცდა.
ჩამჩურჩულა სიცილით:
— პაპამ პური ჩაკოცნა...
პაპამ წყენით შეგვხედა,
მერე ასე დაგვლოცა:
— სიცილი და ხალისი
არ მოგშლოდეთ არასდროს,
თქვენთვის სამარადისოდ
მშვიდობის მზემ ანათოს.
მაგრამ ისიც შეიგნეთ,
თუ ომის დროს რა მოხდა:
ლუკმა პურის ნატვრაში
ლამის სული ამოგვხდა.
მშიერ დედის კალთაში
ჩვილი ჩამომდნარიყო,
საცოდავად ღნაოდა,
პური წამლად არ იყო.
ჰოდა, ჩემო გვრიტებო,
პურის ყადრი იცოდეთ,
პური არის სიმდიდრე,
პური არის სიცოცხლე.
პურისადმი სიყვარულს
ანდერძივით გადმოგცემთ,
ძირს დაგდებულს თუ ნახავთ,
აიღეთ და აკოცეთ,
მისი დამთეს-მომყვანი
მოკრძალებით დალოცეთ.



### არწივი

არწივს დაუქადნია,
ზოოპარკის ტყვესაო,
ამ გალიას გავანგრევ,
ლაღად გავშლი ფრთებსაო,
ცაში შევკრავ ირაოს,
გადავივლი მთებსაო,
ხევში ჩამოვიბერტყავ
ზოოპარკის მტვერსაო.
ძერას გაღიმებია,
არწივი თავს იქებსო,
აბა, როგორ გაანგრევს
ამ ვეება რკინებსო,
მაგრამ მაინც კარგია,
რომ არ კარგავს იმედსო.



### ბებიას დარიგება

ერთი საქმე აირჩიე,
ცუგრუმელა ტასო,
ღობე-ყორეს არ მოედო,
ბატს არ დაემსგავსო.
ბატი ფრინავს,
ბატი ცურავს,
ბატი მღერის კიდეც,
ბაჯბაჯით და ყიყინითა
დადის კიდით კიდე.
სიარული არ უვარგა,
არც სიმღერა იცის,
ის რომ ფრინავს,
ის რომ მღერის,
ძლივს ვიკავებთ სიცილს.
ერთ საქმეში რომ ვარგიყოს,
აჯობებდა სწორედ ეს:
შნოიანად დადიოდეს,
ან ხმატკბილად მღეროდეს,
ფრთებს იქნევდეს წყალში
მარჯვედ,
ოსტატურად ცურავდეს,
ან ფრინავდეს სანაქებოდ,
ფრთებით ზეცას ხურავდეს.



### რა უქნია?

— რა უქნია, რა უქნია,
ჩვენს თინიკოს რა უქნია!..
— რა უქნია?
— ოთახები დაუგვია
და ლოგინიც დაუგია.
— როდესაც ეს გაუგია,
ნეტა, რა თქვა ბებიამ?
— სულაც არაფერი უთქვამს,
ტკბილად გაღიმებია.
— რა უქნია, რა უქნია,!..
ჩვენს შოთიკოს რა უქნია!..
— რა უქნია?
— დასაფქვავი წაუღია
და მარტოკას დაუფქვავს.
— როდესაც ეს გაუგია,
ნეტა, პაპას რა უთქვამს?
— კარგი ბიჭი მყოლებია,
საქმე მოუგონებია, —
ეს უთქვამს და ყალიონი
მშვიდად გაუბოლებია,
მოფარფატე კვამლისათვის
დარდი გაუყოლებია.



მხატვარი თ. ფხაკაძე

# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შოთა ინწკირველი

გთავაზობთ ლენინგრადის პიონერთა სასახლის აღსაზრდელის ალექსი ივანოვის მიერ 11 წლის ასაკში ნათამაშევ პარტიას.

ესპანური პარტია

ალიოშინი
(მეორე თანრიგოსანი. ლენინგრადი)

ივანოვი
(მეორე თანრიგოსანი. ლენინგრადი)

პიონერული ბანაკი „ზერკალნი", 1980 წელი, 17 ივლისი.

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 f5

ეს გამბიტური გაგრძელება დაამუშავა იანიშმა (1813—1872).

4. მc3

დიკგოფის სვლა, რომელიც საუკეთესო პასუხად ითვლება. გვხვდება 4. d3 ან 4. d4.

4. ... fe

შეიძლება 4. ... მf6 ან ბულგარელი მოჭადრაკეების მიერ დამუშავებული 4. ... მd4, რომლის კარგ გაგრძელებად ითვლება 5. ef! ან 5. კa4! აი ერთი მინიატურა: კარპოვი — ცეიტლინი (1971 წელი) 4. ... მd4 5. კa4 მf6 6. მ×e5 fe 7. 0—0 კc5 (ჯობდა 7. ... კd6 8. მc4 კe7) 8. მ×e4 (ძლიერი გაგრძელებაა აგრეთვე 18. d3) 8. ... მ×e4 9. ლh5 g6 10. მ×g6 მf6? (აუცილებელი იყო 10. ... ლg5!) 11. ლe5 კe7 12. მ×h8 b5 13. ლ×d4 ba 14. ეe1 მფf8 15. d3 ეb8 16. ლe5 მფg8 17. ლh5 მფg7 18. მf7 ლe8 19. კh6 მ×h6 20. ლ×h6 მფ×f7 21. ლ×h7 მფf8 22. ეe3 ეb6 23. ეg3 და შავები დანებდნენ.

5. მ×e4 d5 6. მg3

უფრო ხშირად გვხვდება 6. მ×e5. მაგალითად: 6. de 7. მ×c6 ლd5 რთული თამაშით.

6. ... კg4!

ცუდია 6. ... კd6? 7. მ×e5 კ×e5 8. კ×c6 bc 9. ლh5 და თეთრებს ზედმეტი პაიკი აქვთ.

7. h3 კ×f3 8. ლ×f3 მf6 9. 0—0 კd6 10. მf5

უძლიერეს გაგრძელებად ითვლება 10. მh5! რის შემდეგ: 10. ... მ×h5 11. ლ×h5 g6 12. ლf3 თეთრების შანსები რამდენადმე უკეთესია.

10. ... 0—0 11. ლc3?

გადამწყვეტი შეცდომაა. თეთრები თითქმის ფორსირებულად აგებენ.

11. ... მe4 12. ლb3 კc5 13. მe3 მd4 14. ლd3 c6 15. კa4 ლh4 16. f3 მg3 17. ეf2 e4 18. fe ე×f2 19. მფ×f2 მ×e4 20. მფg1 ლf2 21. მფh1 მg3 22. მფh2 მf3 ×! (შამათი!)



ჯხაროთ პარტიის დაბოლოვება, რომელიც გათამაშდა 1971 წლის იანვარში თბილისის გოგონათა ჩემპიონატში. თეთრებით თამაშობს ახალბედა ნინო გურიელი (მესამეთანრიგოსანი, 10 წლის), ხოლო შავებით მეორეთანრიგოსანი, 14 წლის ტალახაძე. აქაც საშამათო ქსელს ქმნიან მხედრები.

ტალახაძე



გურიელი

დიაგრამაზე ფინალური პოზიციაა. შამათია. უკანასკნელი სვლები იყო: 26. მe4 f6×! მფg8 h8 27. მh4 g6 ++ (შამათი!).

ახლა გავეცნოთ 12 წლის კახა შალამბერიძის საინტერესო შემოქმედებას.

ქვემოთ მოყვანილი ორივე პარტია ნათამაშევია თბილისის ჭაბუკთა ჩემპიონატში (ჩართულია ავტორის კომენტარები).

ბერდის დებიუტი

ხოფერია
(ოსტატობის კანდიდატი. თბილისი)

შალამბერიძე
(პირველთანრიგოსანი. თბილისი)

თბილისი. 1981 წელი, 3 დეკემბერი.

1. f4 d5 2. მf3 მf6 3. e3 e6 4. კe2 b6 5. 0—0 კb7 6. b3 კe7 7. კb2 0—0 8. ლe1 მbd7 9. h3 c5 10. g4 ლc7 11. g5?

ნაჩქარევი გადაწყვეტილებაა, სჯობდა ფიგურების მობილიზება.

11. ... მe4!

ზუსტი სვლაა, რამაც გამოიწვია d3 და კიდევ მრავალი სისუსტე თეთრების პოზიციაში.

12. d3 მd6 13. მbd2 მf5! 14. კd1 d4! 15. მc4

თუ 15. ed, მაშინ 15. ... ლ×f4!

15. ... b5 16. e4 bc 17. ef c3!

ცუდია 17. ... ლ×f4? 18. fc-ს გამო.

18. კc1 ef

პოზიცია გაირკვა. შავებს ზედმეტი პაიკი და სტრატეგიულად მოგებული მდგომარეობა აქვთ. არ ვარგა 19. ლ×e7?? ეe8-ს გამო

19. g6!

თეთრები ცდილობენ ბრძოლის გამწვავებას.

19. ... ეae8! 20. gf

თუ 20. gh, მაშინ 20. ... მფh8!

20. ... მფ×f7 21. ლg3 მფg8 22. მe5 ეf6! 23. კh5

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქარა იყო ... და eg6

23. ... ეcf8 24. მფh2 ეh6 25. მ×d7 ლ×d7 26. კf3 კh4! 27. ლg2 ეg6 28. ლe2 ეe8 29. ლd1 კ×f3 30. ლ×f3 ეg3 31. ლh5 ლc6 32. ეf2 ეe1.

თეთრები დანებდნენ.

დამაჯერებელი გამარჯვებაა!

სიცილიური დაცვა

შალამბერიძე
(პირველთანრიგოსანი. თბილისი)

ლაძაძე
(პირველთანრიგოსანი. თბილისი)

თბილისი, 1981 წელი, 5 დეკემბერი

1. e4 c5 2. მc3 მc6 3. f4 d6 4. მf3 g6 5. კc4 კg7 6. 0—0 e6?

უკეთესი იყო 6. ... მf6

7. f5! gf

არ ვარგა 7. ... ef თუნდაც იმიტომ, რომ „c4" კუს ეხსნება a2—g8 დიაგონალი. ცუდია აგრეთვე 7. ... მge7 8. fe fe 9. მg5! გადამწყვეტი უპირატესობით.

8. d3! fe?

კიდევ ერთი უზუსტობა. იხსნება „f" ხაზი თეთრებისათვის, თანაც შავები კარგავენ ტემპს. უნდა ითქვას, რომ შავების პოზიცია ისედაც ცუდია. მაგალითად: 8. ... მge7 9. მg5! მe5 10. ლh5! მფd7 11. მ×f7! ლe8 12. კ×e6! მფ×e6 13. ef მფd7 14. f6! კ×f6 15. ე×f6 ±

9. მg5! კd4 10. მფh1 მf6 (ერთადერთია) 11. მc×e4

კიდევ ერთი ფიგურა ებმება შეტევაში, რაც წყვეტს ბრძოლის ბედს.

11. ... h6 12. მ×f7!? მფ×f7 13. ლh5+ მფe7

13. ... მფg7-ზე შესაძლებელი იყო შემდეგი ფინალი: 14. მ×f6 კ×f6 15. ეf3 d5 16. ეg3 კg5 (16. ... მფf8? 17. კ×h6 მფe7 18. ეf1 dc 19. ე×f6! მფ×f6 20. კg5 მფe5 21. კf4 ან 20. ... მფg7 21. კf6 ±) 17. კ×g5 hg 18. ე×g5 მფf6 19. ეf1 მფe7 20. ეf7 მფd6 21. ქ×d5!! ed 22. ლ×d5 ± + შამათი!



## ხომალდი ხმელეთზე

ინდონეზიურ სატვირთო გემ „ჩელატიკს" (მისი წყალწყვა 6200 ტონაა) წყნარ ოკეანეში, იაპონიის ნაპირებთან ტაიფუნმა მოუსწრო. არნახული ძალის გრიგალმა გემი ნაფოტივით აიტაცა ტალღის ქოჩოდან, ჰაერში გააქროლა და ნაპირიდან 17 მეტრის დაშორებით „ნაზად" დასვა ხმელეთზე, ისე ნაზად, რომ არც ერთი მეზღვაური არ დაზარალებულა. სპეციალისტები დიდხანს იმტვრევდნენ თავს იმაზე, თუ რა ეშველათ გემისათვის. მისი წყლამდე მითრევა და ოკეანეში ჩაშვება გაცილებით უფრო ძვირი დაჯდებოდა, ვიდრე ახალი გემის აგება. საბოლოოდ გემთმფლობელებმა ასე გადაწყვიტეს: ყარაული დაუწესონ უბედურ ხომალდს და ნაწილ-ნაწილ, ჯართად გაყიდონ იგი.

## ნესის თანამოძმე

დადგენილია, რომ შოტლანდიაში, ლოხნესის ტბაში მცხოვრები ლეგენდარული ურჩხული ნესი ერთადერთი არ არის და დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ჰყავს რამდენიმე „ნათესავი". ერთ-ერთი მათგანი, დრაკონი შამპი, აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთში, შამპლეინის ტბაში ბინადრობს. იგი ჯერ კიდევ 1609 წელს აღწერა ფრანგმა მკვლევარმა სამუელ შამპლეინმა. როგორც თვითმხილველნი ჰყვებიან, ამ დრაკონს პატარა ცხენისებური თავი აქვს და შუბლზე წყვილი პაწია რქა ასხია. იგი ტბის სიღრმეში ცხოვრობს და ზედაპირზე იშვიათად ამოდის ხოლმე.

ბოლო დრომდე შამპის სიმშვიდე არავის დაურღვევია. ამ მოკლე ხნის წინათ კი მეცნიერებმა სერიოზულად მოკიდეს ხელი ტბისა და მისი ფაუნის შესწავლას. ექსპედიცია ექსპედიციას მოჰყვა, მათ მარტოხელა ენთუზიასტებმაც აუბეს მხარი და შამპლეინის მშვიდი ცხოვრებისაგან მოგონებაღა დარჩა. ბუნების დამცველთა საზოგადოებამ განგაში ატეხა და კონგრესში წარადგინა კანონპროექტი, რომლითაც მოითხოვენ ლეგენდარული შამპის წითელ წიგნში შეყვანას. საფიქრებელია, რომ ნესის თანამოძმის ქომაგები თავისას გაიტანენ.

## ყვავილები + ნავთობი = ?

ეტიმოლოგია — სიტყვის წარმომავლობის შემსწავლელი ენათმეცნიერო დარგი — ძალზე საინტერესო მეცნიერებაა. ბევრი სიტყვა უცნაური ბედისაა, ზოგის სათავის მოძებნა კი საერთოდ ძნელია. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა, მაგალითად, ვაზელინი...

ვითომ, ვაზასთან უნდა ჰქონდეს საერთო?

თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ ვაზასთან ჰქონია.

1859 წელს აშშ-ის პენსილვანიის შტატში პირველად აღმოაჩინეს ნავთობი. ნავთობმომპოვებელმა ხობ ჩიზბორომ ყურადღება მიაქცია უცნაურ ცვილისებურ ნივთიერებას, რომელიც მილებს ეკვროდა და ხელს უშლიდა ზურგვას. მუშები წყლულკრულვას უთვლიდნენ მას, თუმცა, ზიამოვნებით იყენებდნენ განკურნების თუ მატარა ჭრილობების დასაამებლად ... უშუშებლად. ჩიზბორომ გაწმინდა ეს ცვილისებური ნივთიერება, მოათავსა ქილებში და დაიწყო მისი გაყიდვა. ახალი მალამო სწრაფად დაიტაცეს. როცა ჩიზბოროს ქილები გაუთავდა, გასაყიდ პროდუქტად ახლობით საყვავილე ვაზა გამოიყენა და მოაწყო, ასე ვთქვათ, წარმოების ნაკადური ხაზი. ჰოდა, სწორედ ასე წარმოიშვა ახალი ტერმინი: ვაზა («Vase») + ხაზი („line") = ვაზელინი.




## მუყაოს კოლოფი... თივისაგან

ინგლისელმა კ. უაიტმა მოახერხა მუყაოს კოლოფის დამზადება თივისაგან. დაქუცმაცებულ თივას მცირე რაოდენობით სინთეზურ ფისს ურევენ და შემდეგ წნეხავენ. თივის კოლოფი მაგარია, წყალი არ ასველებს და თითქმის სამჯერ უფრო იაფიც ჯდება, ვიდრე იმავე ზომის ხის ყუთი. ასეთი კოლოფები შეიძლება რამდენჯერმე გამოვიყენოთ (ხილის, ბოსტნეულის, მწვანილის გადასატანად). შემდეგ, როცა გაცვდება, კოლოფს დააქუცმაცებენ და მინერალურ სასუქად იყენებენ.

განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ უაიტის იდეას არგენტინაში, სადაც მალე, ალბათ, აიკრძალება ხის გამოყენება შესაფუთ მასალად.

## მინამ აჯობა ფოლადს

დასავლეთგერმანული ფირმა „ბაიერის" მიერ დამზადებული ბაგირი თავისუფლად უძლებს ოთხტონიანი სატვირთო ავტომანქანის სიმძიმეს, და ეს მაშინ, როცა მისი დიამეტრი სულ რაღაც 7,5 მილიმეტრია. ეს ბაგირი დაწნულია 65 ათასი უწვრილესი ძაფისაგან, რომლებიც სპეციალური მტკიცე მინისაგან არის დამზადებული.

ასეთი ბაგირებით აპირებენ დიუსელდორფის კიდული ხიდის ვანტების შეცვლას. სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ ახალი მასალის დიდ ღირსებებს ფოლადთან შედარებით მინა მსუბუქია და არ იჟანგება.

---

14. მ×f6 კ×f6

შავებმა თითქოს თავი დაალწიეს ხიფათს...



15. ე×f6!!

ამ კუს მოსპობით მკვეთრად იზრდება თეთრი ფიგურების ძალა!

15. ... მფ×f6 16. კg5!!

შავები დანებდნენ. 16. ... hg 17. ეf1 მფe5 18. ლe2 მფd4 19. ლe4+ + (შამათი!).

ბრწყინვალე მინიატურაა, რომანტიკული ეპოქის სტილში! თითქმის ყველა დიდი ადამიანი ჭადრაკის ტრფიალია. ისტორიამ შემოგვინახა მათი თითო-ოროლა პარტია და ფრაგმენტი. ამჯერად ამოსახსნელად გთავაზობთ თეორიული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსის პარტიის დაბოლოებას ოსტატ ნეიმანთან. პარტია გათამაშდა ლონდონში, დაიბეჭდა „შახცაიტუნგში" 1869 წელს.

შავები იწყებენ და აკეთებენ შამათს 2 სვლაში. (დახედეთ დიაგრამას).

სხვათა შორის, აქაც, როგორც ივანოვისა და გურიელის დაბოლოებებში, გადამწყვეტ როლს თამაშობენ მხედრები. ველით თქვენს პასუხს.

მარქსი



ნეიმანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ერთი ბოლოთი კედელზე მიჭედებული სარეცხის სამაგრები მშვენიერი საშუალებაა პირსახოცის, შარვლის და სხვა მსუბუქი საგნების დასაკიდებლად. ასეთი საკიდი ფოტოების გასაშრობადაც შეგიძლია გამოიყენო.

მაკრატლით თამაში ძალიან უყვართ პატარებს. თუ შინ უმცროსი და-ძმა გყავს, მაკრატელს კორპის ასეთი საცობი გაუკეთე და მისი წვერები უხიფათო გახდება.

გირაგმა ლითონის თხელი მილი რომ არ დაჭეჭყოს, მილი ჯერ სარეცხის სამაგრების პირში მოაქციე და გირაგი შემდეგ მოუჭირე.

ძეწკვი რომ გაიხსნება, წვრილი რგოლების ხელში დაჭერა და ერთმანეთზე გადაბმა ძნელია. აიღე სადგისი, გაუყარე, და რგოლები მისი მეშვეობით გადააბი.

დაღლილმა დედამ ბინაში შესვლისას ხელი რომ მოინაცვლოს და კარი იოლად გააღოს, ხელჩანთის ჩამოსაკიდებლად კარზე ასეთი კაუჭი მიუჭედე.

ქვაბის თავსახურმა რომ ხელი არ დაგწვას, ყურში კორპი გაუყარე.

ორი ასეთი კუთხურა თარო წამდაუწუმ სახმარი წიგნების მაგიდაზე შესანახად მისწრებაა.





# სარჩევი

თ. ცაგარელი — პიონერული ზაფხული — ჟამი შრომის და დასვენებისა . . . . . . 2
ვ. გოგოლაშვილი — ჭინკების ბრიგადა (მოთხრობა) 3
ა. დიდებაშვილი — პიონერული ლაშქრული (ლექსი) 9
ე. ნადირაშვილი — კახეთისკენ მივიმღერი (ლექსი) 9
ჩვენი სტუმარია უკრაინის სსრ საბავშვო ჟურნალი „პიონერია“ . 9
ს. ივანიუკი — ჩემს სამშობლოში (წერილი) . . 10
ვ. ნესტაიკო — ფიგურა (მოთხრობა) . . . 11
ა. დიდიძე — დედობილი (მოთხრობა) . . . 15
ნ. ფავლენიშვილი — მიეცი ნიჭსა გზა ფართო... (ნარკვევი) . . . . . . . . . . 17
აისი . . . . . . . . . . . 20
გ. პეტრიაშვილი — შადრევანი (მოთხრობა-ზღაპარი) 22
ზ. ტოპელიუსი — ჭვავის სამი თავთავი (ზღაპარი) 26
ნ. შამანაძე — ლექსები . . . . . . . 29
მხედრიონნი . . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3
ფოკუსის მიღმა . . . . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა მანანა მორჩილაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, ბაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 98-97-05, 98-81-81, პ. მგ. მდივნის—98-97-08, 98-58-05, განყოფილებების—98-97-02, 98-97-01. გადაეცა ასაწყობად 21. 06. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 08. 82 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1591. ტირ. 151.000 ეგზ. უე 00728.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 151.000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1982 წ.



კროსვორდი



თარაზულად: 2. ბაქტერია ანუ? 4. მცენარე; 5. თურქეთის ქალაქი; 8. სრული მარცხი ანუ? 9. ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა ნაწილი; 10. ბოსტნეული; 14. ცხოველი; 15. თბილი ქვეყნების მარადმწვანე ხე; 19. სახელმწიფოს მთელ შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 20. ჭადრაკის ფიგურა; 21. ცირკის მოედანი; 24. ფრანგი ფიზიკოსი; 25. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 27. მსხვილი იმპერიალისტური კოლონიური სახელმწიფო.

შვეულად: 1. ფიცრის საწოლი; 2. ბუჩქოვანი მცენარე; 3. პირველი რუსული მარქსისტული არალეგალური გაზეთი; 4. კურორტი საქართველოში; 6. ცირკის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 7. ხვიარა მცენარე; 8. ამაღლებული ადგილი, საიდანაც კითხულობენ ლექციას, მოხსენებას; 11. კარიბის ზღვის კუნძული; 12. საბერძნეთის ქალაქი; 13. მწერი; 16. კუდიანი ვარსკვლავი; 17. თვე; 18. ევროპის ქვეყანა; 22. უკრაინის ქალაქი; 23. ერთუჯრედიანი ცხოველი; 26. ფრინველი.

ჯულიეტა აფრასიძე,
მესტიის რაიონის ქუბერის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### კატები

ოთახში სულ 4 კატა იყო, ყოველ კუთხეში — თითო-თითო.

### ვინ რამდენი წლისაა?

გოგი ერთი წლისა და 9 თვისა იყო, გივი — 3 წლისა და 6 თვის, ნელი — 6 წლის და 3 თვის, თამარი — 10 წლის და 6 თვის.

### ყველას შეუძლია იყოს ჰერკულესი

ბოძკინტზე ერთხელ შემოხვეული ბაგირი, ხახუნის წყალობით, ადამიანის ძალას 3-ჯერ ზრდის, ორჯერ შემოხვეული — $(3{,}5)^2$-ჯერ, სამჯერ შემოხვეული — $(3{,}5)^3$-ჯერ. თუ ჩავთვლით, რომ ერთ ადამიანს 100 კგ სიმძიმის შეკავება შეუძლია, იოლად გამოვიანგარიშებთ, რომ ბოძკინტზე რამდენიმეჯერ შემოხვეული ბაგირის წყალობით ერთ მეზღვაურს მართლაც შეუძლია საოკეანო გემის შეკავება.

### ვაშლები

კალათაში 22 ვაშლი იყო.

### რომელია მართალი?

იმის გამო, რომ მაცივარი მუშაობისას სითბოს გამოყოფს, ოთახი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც თბება.

ასე რომ, მართალია ის, ვინც ოთახის გათბობის მიზნით მაცივარი ჩართო.

### გამოცანები

საბაგირო გზა, ვულკანი, აბრეშუმის პარკი და ჰია.




აჩვენე მაყურებლებს პატარა ჯოხი, შემდეგ ამ ჯოხით მაგიდაზე დააკაკუნე, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ მაგარი ჯოხია. მაგიდიდან სუფთა ფურცელი აიღე და ჯოხს შემოახვიე. მერე ბოლო მოახიე გრაგნილს და იქიდან გამოიღე... რამდენიმე ფერადი ცხვირსახოცი. ახლა შეიძლება გრაგნილს ორივე ბოლოში მოკიდო ხელი, დაჭმუჭნო და გადააგდო. სად გაქრა ჯოხი?

ამ ფოკუსის საიდუმლოება თვითონ ჯოხში იმალება.

ქაღალდს რომ დაგრაგნი, ერთი ბოლო ხის საცობით დაუცავი. როცა მაგიდაზე დააკაკუნებ, მაყურებლები იფიქრებენ, რომ ხელთ გიჭირავს ხის ჯოხი. ქაღალდში შეხვეულ „ჯოხს" საცობიანი ბოლო მოახიე. „ჯოხში" ფერადი ცხვირსახოცებია ჩამალული. გამოსწევ მათ და მაყურებლებს აჩვენებ. ამის მერე შეგიძლია გრაგნილი მშვიდად დაჭმუჭნო და გადააგდო.

ემილ კიო

ნ. ხ. ა. სახაროვისა

ფოკუსის მიღმა

მოსწავლეთა
შემოქმედება

დათო
ჯაფარიძე



გამგზავრება. 7 წლის.



მატარებელში ასვლა.



[illegible] 7 წლის.



ცეკვის მასწავლებელი. 8 წლის.



ინდექსი 76157